ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## თეონა თამაზაშვილი: „თამარის სიკვდილი სუსთან და იარაღით ვაჭრობასთანაა დაკავშირებული“

გვ.5



## სუსი: „თამარ ბაჩალიაშვილს ჩვენ არ ვუთვალთვალებდით“

სამშაბათი, 1 სექტემბერი, 2020 №184 (8448) ფასი: 60 თეთრი

# „კობახიძე დაცვის გარეშე დაელაპარაკოს ხალხს და მერე ისაუბროს თავის რეიტინგებზე“



გვ.2 ხატია დეკანოიძე: „თუ საერთაშორისო დამკვირვებლები ვერ ჩამოვლენ, ეს „ოცნების“ პასუხისმგებლობა იქნება და არჩევნების სამართლიანობა კითხვის ქვეშ დადგება“



კობახიძე: „ნაციონალები 12%-საც ვერ მიიღებენ“

## შედგება თუ არა ნაციონალებისა და „ძალა ერთობაშია“ ბლოკი?!



გვ.3

პაატა დავითაია: „ხელისუფლების დასამარცხებლად მაქსიმალურად მნიშვნელოვანი იყო დიდი ოპოზიციური ერთობა. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა“

## „პარტიებს შორის „ქართული ოცნება“ პირველ ადგილზე გავა“




## „31 ოქტომბრის შემდეგ რიგგარეშე არჩევნები გამორიცხული არ არის“

სოსო შატბერაშვილი: „ნათელაშვილის ოფისში გაერთიანებული ოპოზიციის ნამდვილი მიზანი ხმების დაცვა არ არის“



გვ.4

ვახტანგ ძაბირაძე: „საქართველოში არ ჩატარებულა არც ერთი არჩევნები, სადაც რუსეთი არ ჩარეულიყო“



გვ.3



გვ.4

## ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში სამართალდამცავების მობილიზებაა

ბიბილოვი ხალხს ინალ ჯაბიევის საქმის გამოძიების გაკონტროლებას დაჰპირდა

ISSN 1987-9385

2 ირაკლი სესიაშვილი: „ოკუპანტს არ სძინავს, არც ჩვენ გვძინავს“

4 გორის ჰოსპიტალის დირექტორმა გარდაცვლილი პაციენტები კლინიკაში ვალის დასაფარავად დაიბარა

5 ნარკორეალიზაციის ბრალდებით 2 პირი დააკავეს

6 კიევში ლუკაშენკოს პორტრეტი დაწვეს

# ხატია დეკანოიძე: „კობახიძე დაცვის გარეშე დაელაპარაკოს ხალხს და მერე ისაუბროს თავის რეიტინგებზე“

## „თუ საერთაშორისო დამკვირვებლები ვერ ჩამოვლენ, ეს „ოცნების“ პასუხისმგებლობა იქნება და არჩევნების სამართლიანობა კითხვის ქვეშ დადგება“

იაგო ნაცვლიშვილი

**ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ხატია დეკანოიძე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გაუქმების ინიციატივით გამოდის. მიიჩნევს, რომ დღეს სუსი არის პოლიტიკური ორგანო და ოპონენტების დევნით არის დაკავებული. ამიტომ მიიჩნევს, რომ საჭიროა რეფორმა ამ მიმართულებით.**

როგორ წარმოუდგენია ამ საკითხის დარეგულირება, რა პასუხი აქვს ირაკლი კობახიძის განცხადებაზე, რომ ენმ-ს 12%-იანი რეიტინგი აქვს და იმედოვნებს, რომ ეს ერთნიშნა რიცხვამდე ჩამოვა და რას ფიქრობს განცხადებაზე, რომ შესაძლოა არჩევნებისთვის საერთაშორისო დამკვირვებლები ვერ ჩამოვიდნენ? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე **ხატია დეკანოიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.



***– განაცხადეთ, რომ სუსი უნდა გაუქმდეს. ამ რეფორმის განხორციელება როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ? როგორია თქვენი ხედვა და რა განმარტებას გააკეთებდით ამ საკითხზე?***

– ძალიან მარტივად. სუსი დღეს არის პოლიტიკური ფუნქციებით აღჭურვილი უწყება და უნდა მოხდეს მისი სრული დეპოლიტიზაცია. ამიტომ საჭიროა მისი რეფორმა, რაც მას ამ პოლიტიკურ ფუნქციას ჩამოართმევს. ამისთვის კი საჭიროა, რომ მისი ფუნქციები გაიყოს ორად. ანტიკორუფციულ ბიუროდ და კონტრდაზვერვის დეპარტამენტად.

***– ეს ვის დაქვემდებარებაში უნდა იყოს?***

– ანტიკორუფციული უნდა იყოს დამოუკიდებელი ორგანო, ხოლო კონტრდაზვერვის დეპარტამენტი შესაძლებელია, რომ პირდაპირ დაექვემდებაროს მინისტრთა კაბინეტს. ეს იქნება პოლიტიკური პარტიების შეთანხმების საგანი. ის ასევე შესაძლებელია, პარლამენტის მეშვეობით დაექვემდებაროს მინისტრთა კაბინეტს, ან შესაძლოა პრემიერ-მინისტრის მეშვეობით.

***– ისე უნდა გაკეთდეს ამავდროულად, რომ ურთიერთკონტროლის მექანიზმები მაქსიმალურად იყოს ჩადებული, რათა პოლიტიკური მოტივაციით მისი გამოყენების შესაძლებლობა აღარ იყოს?***

– კონტრდაზვერვას ისეთი ფუნქციები აქვს საკანონმდებლო ბაზას თუ გავყვებით, რომ გამორიცხულია, პოლიტიკური ფუნქციების მატარებლად გადაიქცეს. ანტიკორუფციულს კი ექნება წმინდა სამსახურებრივი, ანუ წმინდა ანტიკორუფციული ფუნქციები. ძალიან ბევრ უწყებას აქვს ახლა ეს ფუნქციები და მათი აკუმულირება მოხდება ანტიკორუფციულში და ეყოლება ანტიკორუფციული პროკურატურა.

***– მაინც ხომ არ რჩება რაღაც რისკები? გამომდინარე იქიდან, რომ ხელისუფლებები მაინც იყენებენ ხოლმე ამას და ახალ-ახალ მექანიზმებს იგონებენ იმისათვის, რომ თავის თავზე მოირგონ. ამის აცილების რაღაც მექანიზმებიც ხომ არ არის ჩასადები?***

– აცილების მექანიზმი ის არის, რომ სასამართლო იქნება დამოუკიდებელი. სხვა აცილების მექანიზმი როგორ?! ჩვენ მოვაწერეთ სასამართლოს რეფორმის თაობაზე ხელი, გვაქვს შეთანხმება ამაზე. უნდა გვქონდეს დამოუკიდებელი სასამართლო და დამოუკიდებელი პროკურატურა დამოუკიდებელი საპარლამენტო კონტროლით. ეს არის ყველაზე დიდი აცილების და ბალანსის ყველაზე კარგი საშუალება.

***– წმინდა საარჩევნო საკითხებზე გადავიდეთ. რა ხდება კოალიციაში „ძალა ერთობაშია“? როდის გეგმავთ სიის წარდგენას და სხვა მნიშვნელოვანი დეტალების საზოგადოებისთვის მიწოდებას?***

– ძალიან მალე. ეს იქნება უახლოეს დღეებში. ზუსტი თარიღი ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ეს იქნება ძალიან მალე.

***– გამოვიდა რაღაც ხმები, რომ აზრთა სხვადასხვაობა თუ დაპირისპირებაა გუნდში. ადასტურებთ შიდა კამათს?***

– არა, არაფერი. რაღაც საკითხებზე ვთანხმდებით, რაღაც საკითხებზე ვერ ვთანხმდებით. ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე ვთანხმდებით. ივანიშვილის ხელისუფლებიდან გაშვებაზე ვთანხმდებით.

ოპოზიციაში არის სხვადასხვა პლატფორმები და ყოველთვის შესაძლებელია, რაღაც გარკვეულ საკითხებზე იყოს აზრთა სხვადასხვაობა.

***– არა, ამ შემთხვევაში სრულად ოპოზიციაზე არ გეკითხებით. კონკრეტულად კოალიციაზე „ძალა ერთობაშია“ გეკითხებით.***

– არა, არაფერი მსგავსი არ ხდება ჩვენს ფორმატში. არანაირი უთანხმოება არ არსებობს. მე მეგონა, მთლიანად ოპოზიციაზე მეკითხებოდით.

***– სრული თანხვედრა გაქვთ?***

– კი, სრული თანხვედრა გვაქვს.

***– ინფორმაცია, რომ გუნდში რაღაც დაპირისპირებაა, სიმართლეს არ შეესაბამება და ჭორია?***

– რადგანაც მე ამას არ გიდასტურებთ, ეს ნიშნავს, რომ ჭორია.

***– ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ იმედი აქვს, ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი ამ არჩევნებზე ერთნიშნა რიცხვამდე ჩამოვა. რას უპასუხებთ?***

– მე მაგაზე გავაკეთე კომენტარი. მე მას მინდა ერთი რჩევა მივცე – გამოვიდეს და ხალხს დაელაპარაკოს დაცვის გარეშე. გაიაროს ქუჩაში ისე, როგორც ჩვენ დავდივართ. შევიდეს ბაზარში, შევიდეს სოციალურად დაუცველებთან და ა. შ. ამის მერე გამოვიდეს და ილაპარაკოს თავის რეიტინგებზე. მარტო ბიძინას რომ ელაპარაკებიან. ეს რჩევა მინდა მივცე და იმედი მაქვს, რომ ამ სულელურ განცხადებაზე მეტჯერ აღარ გავაკეთებ კომენტარს.

***– შესაძლოა, არ ჩამოვიდნენ დამკვირვებლები. ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?***

– ეგ სერიოზული პრობლემაა პროტოკოლის შემუშავებასთან დაკავშირებით და ჩვენ ველოდებით და მოვითხოვთ, რომ სასწრაფო წესით უზრუნველყონ საერთაშორისო დამკვირვებლების ჩამოყვანა.

***– თუ ეს არ მოხდება, მაშინ რა გეგმა გაქვთ ოპოზიციურ სპექტრს?***

– ჩვენ ველოდებით ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების გზავნილებს და დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს პრობლემა მოგვარდება და თუ ეს არ მოგვარდება, ეს იქნება მთლიანად ხელისუფლების პასუხისმგებლობა. გამოდის, რომ საზღვრები სწორედ იმიტომ ჩაკეტეს, რომ დამკვირვებლები არ ჩამოვიდნენ.



***– ამ შემთხვევაში არჩევნების სამართლიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება?***

– რა თქმა უნდა. არჩევნები რომ შეფასდეს, ამისთვის საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებაა საჭირო. მათ შორის გრძელვადიანი.

***– თუ გაქვთ რაიმე გეგმა ოპოზიციას, რომ კონსოლიდირებულად იმოქმედოთ ამგვარი გამოწვევების მიმართულებით?***

– ჩვენ ნაწილობრივ შეთანხმებული კანდიდატები გვყავს, ნაწილობრივ კონკურენტები ვართ. ჩვენ პირველ რიგში პროპორციულ ნაწილში უნდა მოვუგოთ ბიძინა ივანიშვილს. თუ სადმე იქნება მეორე ტური, მაჟორიტარულ ნაწილში უნდა დავუჭიროთ ერთმანეთს მხარი. ამიტომ საჭიროა მუშაობა, მუშაობა და ამომრჩევლის დარწმუნება. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

***– აპირებთ სააკაშვილი დაასახელოთ პრემიერმინისტრობის კანდიდატად?***

– ძალიან მალე, ჩვენი პოლიტიკური პლატფორმის ახალი გეგმის გაჟღერების შემდეგ გვეცოდინება ეს საკითხები. შესაბამისად ძალიან მალე ვიქნებით მზად, გიპასუხოთ ყველა კითხვაზე.

***– ანუ არც ადასტურებთ და არც უარყოფთ ამ ინფორმაციას?***

– რა თქმა უნდა, ლოგიკური იქნებოდა.

***– ამოწურულია თუ არა „ნაციონალურ მოძრაობასა“ და გიორგი ვაშაძეს შორის დაპირისპირება თუ უნდა ველოდოთ კიდევ რაღაცას?***

– მე არ ვკინკლაობ არავისთან. ჩემი კონკურენტი არის „ქართული ოცნება“ და მისი კანდიდატი. შესაბამისად, ყველას თავისი სტრატეგია აქვს, ჩვენ ვართ კონკურენტები და ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ მოვიგოთ ისინის მაჟორიტარული ოლქი. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ მე პირადად.

## საქართველოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები 31 ოქტომბერს გაიმართება



პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები 31 ოქტომბერს დანიშნა

მან განკარგულება გამოსცა და საზოგადოებას მიმართა.

– დღეს ხელი მოვაწერე არჩევნების გამოცხადების აქტს.

საპარლამენტო არჩევნები ჩვენს ქვეყანაში ჩატარდება 31 ოქტომბერს, როგორც ამას ჩვენი კონსტიტუცია ითვალისწინებს.

მინდა მივმართო საზოგადოებას და მოგიწოდოთ, რომ ეს პერიოდი, ეს ორი თვე, რაც წინ გვიძღვის არჩევნებამდე, ჩავატაროთ რაც შეიძლება მშვიდობიანად.

დღევანდელ პირობებში, როცა უკვე გავიარეთ კოვიდ-ის პანდემია და საკმაოდ მძიმე წელი, აუცილებელია, რომ ძალიან მშვიდად მოვემზადოთ არჩევნებისთვის.

ამ არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს! ჩვენ ამით კიდევ ერთხელ დავადასტურებთ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულობას.

ისევე, როგორც რამდენიმე თვის წინ, დღესაც ჩვენმა საზოგადოებამ აჩვენა მსოფლიოს, რომ შეუძლია მართოს ასეთი მძიმე ეპიდემია და თავისი მაღალი საზოგადოებრივი შეგნებით დაანახოს, რომ ჩვენ პასუხისმგებლიანი მოქალაქეები ვართ; სწორედ ასევე, უნდა ჩავატაროთ არჩევნები.

ვიცი და მჯერა, რომ ჩვენ შეგვიძლია მომავალი არჩევნები ასე დემოკრატიულად, მშვიდობიანად და გამჭვირვალედ ჩავატაროთ.

30 წლის წინ, 1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველომ ჩაატარა უკვე მაშინაც დემოკრატიული არჩევნები.

ჩვენ ეს ტრადიცია უნდა გავაგრძელოთ, გავაძლიეროთ და წარვდგეთ მსოფლიოს წინაშე, როგორც უკიდურესად დემოკრატიული ქვეყანა. ჩვენ ეს შეგვიძლია! – განაცხადა პრეზიდენტმა.

## ირაკლი სესიაშვილი: „ოკუპანტს არ სძინავს, არც ჩვენ გვძინავს“



– ოკუპანტს არ სძინავს და ჰიბრიდული ელემენტების გამოყენებით, არჩევნებში ჩარევით, რუსეთი ცნობილია მსოფლიოში, იქ, სადაც სურთ, რომ თავიანთი ინტერესები გაატარონ. არც ჩვენ გვძინავს, ჩვენი სამსახურები მუშაობენ.

ამის შესახებ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა ჟურნალისტებთან აშშ-ის ელჩის კელი დეგნანის განცხადების კომენტირებისას აღნიშნა.

მისი თქმით, ქვეყნის კანონმდებლობით, უცხო ქვეყნის მიერ პოლიტიკური ორგანიზაციების დაფინანსება აკრძალულია და თუ ასეთი გამოვლინდება, სახელმწიფო რეაგირებას მოახდენს.

კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, რუსული ფული სხვადასხვა გზებით ხვდება გარკვეულ ჯგუფებში.

– მე არ დავაკონკრეტებ, თუმცა, ეს არის რბილი ძალის გასატარებლად. ამაზე საუბარი გვქონდა კომიტეტის დახურულ სხდომაზე, როცა სუს-ის ანგარიშს ვისმენდით. არიან ორგანიზაციები, მედიასაშუალებები, სოციალური ქსელის ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც რუსული რბილი ძალის გამტარებლები არიან და ამაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ყოველთვის აქვს ადეკვატური რეაგირება, – განაცხადა სესიაშვილმა.

შეგახსენებთ, აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა განაცხადა, რომ საქართველო უნდა ელოდოს რუსეთისგან არჩევნებში ჩარევას, რადგან რუსეთს აქვს ჩარევის სქემა, მათ შორის დეზინფორმაციული კამპანიები და სხვა ძალისხმევა.

## კობახიძე: „ნაციონალები 12%-საც ვერ მიიღებენ“

ირაკლი კობახიძის აზრით, საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ 12%-იან მხარდაჭერასაც ვერ მიიღებს, რაც, კობახიძის შეფასებით, ქართული დემოკრატიისთვის კარგი იქნება

– ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ნამდვილად არის ნაციონალური მოძრაობა ნომერ მეორე პარტია, თავისი 12%-ით, მაგრამ მაინც მეორე პარტია. რაც შეეხება მათ საარჩევნო აგიტაციას – მგონი, ყველანაირად არეულები არიან, თავიდან ბოლომდე, რაც იმას უზრუნველყოფს, რომ სავარაუდოდ, ისინი 12%-საც ვერ მიიღებენ ამ არჩევნებში, რაც ძალიან კარგი იქნება ქართული დემოკრატიის შემდგომი სტაბილური განვითარებისთვის, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## „ტერმინ „თალაკვაძის კლასტერის“ გამოყენება სპეკულაციაა“



– რომელიღაც არხს, ან „მთავარს“, ან „ტვ პირველს“ დაურქმევია ერთი დამლაგებლის გამო „თალაკვაძის კლასტერი“... ძალიან გთხოვთ, ამას ნუ იკადრებთ!

ასე მიმართა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ჟურნალისტებს.

მისი თქმით, იმის მიუხედავად, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს ჩატარებული ტესტით კორონავირუსის არსებობა არ დაუდასტურდა, მაინც ამგვარი „სპეკულაცია“ გავრცელდა.

– მითხრა დაცვის თანამშრომელმა, რომ „თალაკვაძის კლასტერი“ დაარქვეს ერთ-ერთ ჩართვაშიო, როდესაც ამ ადამიანს ტესტი აქვს გაკეთებული, უარყოფითი ამოუვიდა ტესტი ანუ მას კოვიდინფექცია არ დაუდასტურდა, რამხელა სპეკულაციაა და ამას უნდა კადრება. უნდა იკადრო, რომ ასეთი რაღაც მოიფიქრო, გააკეთო და შემდეგ უკვე მაყურებელს გადასცე და „თალაკვაძის კლასტერი“ ეძახო სხვა თანამშრომლის შემთხვევაში კოვიდინფექციის დაფიქსირების გამო. ამას, ძალიან გთხოვთ, ნუ იკადრებთ! მივმართავ იმ ტელეკომპანიის წარმომადგენლებს, რომლებიც ამას კადრულობენ, – განაცხადა მდინარაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# შედგება თუ არა ნაციონალებისა და „ძალა ერთობაშიას“ ბლოკი?!

## პაატა დავითაია: „ხელისუფლების დასამარცხებლად მაქსიმალურად მნიშვნელოვანი იყო დიდი ოპოზიციური ერთობა. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პაატა დავითაია პასუხობს.**

***– ბატონო პაატა, ბოლო პერიოდია ვისმენთ შეფასებებს, რომ დღეს ოპოზიციაში იმაზე რთულად არის საქმე, ვიდრე აქამდე იყოო. რა ხდება შიგნით, ის, რაც არ იცის საზოგადოებამ? ნაციონალების გადაწყვეტილებამ თბილისში მესამე კანდიდატთან დაკავშირებით კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია?***

– არაფერი ისეთი დრამატული არ ხდება, ოპოზიციაში შემავალ პარტიებს, იმ ერთიან ფორმატში, რომელიც ლეიბორისტულ ოფისში იკრიბებოდა და იკრიბება დღესაც, ყველა ამ პარტიას აქვს თავისი ინტერესი და არის სუფთა საარჩევნო კამპანია გახსნილი ამ მიმართულებით და ყველა მოქმედებს ამ ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია იმაზე, თუ როგორი რთულია მაჟორიტარების შეთანხმება.

***– თუმცა იყო მოლოდინი, რომ თბილისში მაინც შეძლებდა ამას ოპოზიცია.***

– აბსოლუტური შეთანხმება ძალიან რთულია ამ მიმართულებით. თუმცა მოხდა ისე, რომ მაინც მოხერხდა შეთანხმება თბილისში. თქვენ ნახეთ, ნაციონალური მოძრაობა გამოვიდა ინიციატივით რომ ორ ოლქს წაიღებდა მხოლოდ, მერე მოხდა ის, რაც მოხდა...

***– გიორგი ვაშაძე ძალა ერთობაშიას კანდიდატი იყო?***

– დიახ, ასე იყო.

***– თუ ასე იყო, რატომ გადიოდა ხუთი ნომრით და ნაციონალების სახელით?***

– არ მინდა ახლა დეტალებით გადავღალო მკითხველი და ძალიან მარტივად აგიხსნით, როდესაც ნაციონალური მოძრაობის პარტიამ თქვა, რომ ორ ოლქში დააყენებდა, ხოლო ძალა ერთობაშიას ფორმატით გამოდიოდა სამი კანდიდატი და ის მესამე გამოდიოდა გიორგი ვაშაძე. თუმცა, როდესაც გიორგი ვაშაძემ ძალა ერთობაშია დატოვა, მაშინ უკვე შეიცვალა სიტუაცია და ნაციონალებმა დააყენეს მესამე კანდიდატი.

***– სწორედ ამიტომ არის ნაცებზე განაწყენებული ოპოზიციის ერთი ნაწილი, რომ მაშინ ისევ ბლოკს დაეყენებინა კანდიდატი, რატომ მაინცდამაინც ნაციონალური მოძრაობიდან?***

– ნაციონალური მოძრაობა შემოდის ამ ბლოკში.

***– ეს გასაგებია, მაგრამ სამივე კანდიდატი მისი პარტიის წევრი და ლიდერია. ასე არ არის?***

– ბლოკი წყვეტს, თუ ვინ იქნება კანდიდატი. ყველა კანდიდატი, რომელიც დასახელდება თბილისში და საქართველოში, ეს იქნება ძალა ერთობაშიას ბლოკის სახელით, რომელიც უახლოეს დღეებში ოფიციალურად გაცხადდება.

***– ბლოკშიც უთანხმოებააო, გამოდის ინფორმაციები, როგორც ვიცი, ნაციონალური მოძრაობა ბლოკთან სულაც არ ათანხმებს კანდიდატებს.***

– ჯერ ბლოკის თემა არ ყოფილა ამ მიმართულებით და საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით. ყველა მაჟორიტარი ამ რამდენიმე დღეში დამტკიცდება ბლოკის მიერ. ჯერჯერობით ეს შიდა თემებია.

***– ამ გაერთიანებაში ლიდერობს ნაცმოძრაობა და პარადიც მას მიჰყავს და ამ ბლოკში შემავალი პარტიები იჩაგრებიანო. ასეა?***

– მოდით ასე ვთქვათ, ნაციონალური მოძრაობა არის წამყვანი ოპოზიციური ძალა ბლოკში და რად უნდა ამას ამდენი ლაპარაკი?!

***– კი მაგრამ, თუ ბლოკია, ყველა კანდიდატი მისი ხომ ვერ იქნება, მაშინ თქვენ გამხდარხართ ამ პარტიის წევრები და ეს სულაც არაა ბლოკი.***



– ეს არის ბლოკი და არც ყველა კანდიდატი იქნება მისი. უბრალოდ უფლებამოსილება მაგათ ექნებათ დელეგირებული, რადგან ეს მხოლოდ ერთ პარტიას უნდა ჰქონდეს, ეს ტექნიკური მხარეა და არც ყველა კანდიდატი არ იქნება მისი.

***– შეგიძლიათ ბლოკიდან დამისახელოთ რამდენიმე კანდიდატი, რომელიც განიხილება?***

– ვერაფერს ვერ გეტყვით, სანამ საბოლოოდ არ დამტკიცდება და ნახავთ, რომ არ იქნება მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა, თუ პირადად ჩემზე გაინტერესებთ, მე არა ვიქნები მაჟორიტარობის კანდიდატი, ეს შემიძლია დაგიდასტუროთ. აქედან გამომდინარე, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

***– პროპორციულ სიაში როგორ იქნება ბლოკში შემავალი პარტიების კვოტები? ამაზეც დიდი უსიამოვნება ყოფილა შიგნით.***

– ჯერ არ არის აქამდე მისული საქმე. არის შეთანხმება, რომელიც არის და როცა საარჩევნო ბლოკი იურიდიულად გატარდება, საბოლოო ვადა 15 სექტემბერია, აი მაშინ უკვე ყველაფერი ზუსტად გეცოდინებათ. როდესაც ბლოკი იურიდიულად გაფორმდება, მერე მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სიაზე. ამიტომ არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო. ჯერ ეს საკითხი წერტილდასმული არ არის.

***– ხელისუფლებამ ძალიან კარგად იმუშავა ოპოზიციის შიგნით, სათავისოდ აურია სიტუაცია და ვერ შედგა ოპოზიციური ერთობაო. ასეა?***

– ხელისუფლებამ იმუშავა თუ ოპოზიციას ჭკუა არ ეყო, ფაქტი ერთია, რომ ერთობა არ გამოვიდა. გამარჯვებისათვის და ხელისუფლების დასამარცხებლად მაქსიმალურად მნიშვნელოვანი იყო დიდი ოპოზიციური ერთობა. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა.

***– თქვენ ვის აბრალებთ, ხელისუფლებამ იმუშავა კარგად თქვენ შიგნით თუ ოპოზიცია აღმოჩნდა უჭკუო?***

– ამას რაღა მნიშვნელობა აქვს, ფაქტი სახეზეა, რომ ერთობა ვერ შედგა. ძალა ერთობაშია ოპოზიციურ ფლანგზე არის მაქსიმალურად დიდი გაერთიანება, რომელიც იქნება ხელისუფლების შემდეგ ამ საარჩევნო პროცესში.

***– თუმცა ამ ერთობაში დომინანტი მაინც ნაციონალური მოძრაობაა.***

– დომინანტი რომ არის, ამაზე არც ჩვენ ვდავობთ. დაფინანსებით დაწყებული და სხვა რესურსებით დამთავრებული, ის გაცილებით დიდი და ძლიერია, ვიდრე ჩვენ.

***– რამდენად გაზარალებთ მიხეილ სააკაშვილის განცხადებები? გაკეთდა შეფასებები, რომ მისი ტაქტიკა არასწორია და დამაზიანებელია თუნდაც თქვენი ბლოკისთვის. ამაზე რას იტყვით?***

– მოდით, ასე ვთქვათ, რომ მიხეილ სააკაშვილს სრული ლეგიტიმური უფლება აქვს, აბსოლუტურად ლეგიტიმური, რომ იყოს პოლიტიკაში. ნაციონალური მოძრაობა დღემდე რჩება ყველაზე დიდ ოპოზიციურ ძალად.

***– ანუ სააკაშვილი კვლავ ამ პარტიის შეუცვლელ ლიდერად მოიაზრება?***

– კი, ის რჩება ამ პარტიის ლიდერად.

***– და ის განიხილება პრემიერობის კანდიდატად ნაციონალების მხრიდან?***

– ნაციონალური მოძრაობა აჟღერებს ამ საკითხს, ის მათი ლიდერია და დააყენებენ მის კანდიდატურას. აქედან გამომდინარე ძალა ერთობაშიას შიგნით იქნება მსჯელობა და ბლოკში პრაგმატული გადაწყვეტილება იქნება მიღებული. სააკაშვილის პრემიერობის კანდიდატად წარდგენას მე არ გამოვრიცხავ ბლოკის მხრიდან.

***– ანუ დაუჭერთ მხარს?***

– ამისი ალბათობა დიდია. მისი დასახელების უფლება გვაქვს, დანარჩენი კი ამომრჩევლის გადასაწყვეტია, როგორც ამომრჩეველი გადაწყვეტს, ისე იქნება.

***– სააკაშვილს ბევრი მხარდამჭერი ჰყავს და ეს ერთგვარი ხრიკია მისი მხარდამჭერების მობილიზაციისთვისო. ასეა?***

– როგორც გინდათ, ისე დაარქვით, გინდ ხრიკი და გინდ პოლიტიკური ამბიცია, ფაქტი ერთია, რომ მას ამის უფლება აქვს.

***– თავად მიშას ამბიცია იყო, რომ ის დაგესახელებინათ კანდიდატად? ვისგან მოდის ეს ინიციატივა?***

– ჯერ არ დაგვისახელებია. უბრალოდ ეს თემა განიხილება. მე გეუბნებით, რომ ბლოკში გადაწყვეტილება მიღებული იქნება მისი კანდიდატურის დასახელებასთან დაკავშირებით მის სასარგებლოდ.

***– რას იტყვით „ოცნების“ პოზიციებზე? ბოლო პერიოდში საუბრობენ, რომ ხელისუფლების რეიტინგმა მოიმატა, რომ მათი პოზიციები უფრო გამყარდა. ეს რამ განაპირობა, ოპოზიციის დასუსტებამ?***

– მე სულაც არ ვფიქრობ, რომ ხელისუფლების რეიტინგმა მოიმატა. ალბათ მოისმინეთ ევროკავშირის ელჩის განცხადება, სადაც ის ამბობს, რომ მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება გამარჯვებული, არამედ მნიშვნელობა აქვს, როგორ მიაღწევს ამ გამარჯვებას. ეს დიპლომატიურ ენაზე ნათქვამია და მანიშნებელია იმისი, რომ ის, რაც 2018-ში აპატიეს „ქართულ ოცნებას“, დღეს ამას აღარავინ აპატიებს.

***– რა შედეგს ელოდებით?***

– ძალიან მძიმე არჩევნები გველის, ძალიან მძიმე. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი პარტნიორი ქვეყნების როლი ამ პროცესში.

# „პარტიებს შორის „ქართული ოცნება“ პირველ ადგილზე გავა“

## ვახტანგ ძაბირაძე: „საქართველოში არ ჩატარებულა არც ერთი არჩევნები, სადაც რუსეთი არ ჩარეულიყო“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, ხომ არ ფიქრობთ, რომ კვლავ იგივე სცენარით წარიმართება ეს საარჩევნო კამპანიაც, როგორც აქამდე ყველა დანარჩენი, რადგან ირაკლი კობახიძემ უკვე გააკეთა განცხადება, რომ მეორე ადგილზე „ნაციონალური მოძრაობაა“?***

– რეალურად ეს ასეა. დღეს ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია ნაციონალურ მოძრაობას აქვს, რომლის ლიდერიც მიხეილ სააკაშვილია. ეს კი ნიშნავს, თუ კოალიცია მოვა ხელისუფლებაში, მაშინ პრემიერი იქნება მიხეილ სააკაშვილი.

რასაკვირველია, ხელისუფლება შეეცდება, ეს რეალობა ფაქტორად აქციოს. ამაზე რომ გაკეთდება მთელი აქცენტი, ამაში ორი აზრი არ არსებობს. მეორე მხრივ კი, თუ სინამდვილეს გვინდა თვალი გავუსწოროთ, ეს მართლაც ასეა. ნებისმიერ შემთხვევაში ელექტორატი ისევ არჩევანის წინაშე დადგება.

***– თუ პირველ ადგილზე „ქართული ოცნებაა“, რაც აქამდე სოციოლოგიური კვლევები ჩატარებულა, ყველგან ასეთი მონაცემებია, მაშინ პრემიერობის კანდიდატი სააკაშვილი როგორ იქნება?***

– გასაგებია, რასაც ამბობთ, მაგრამ თუ „ქართული ოცნება“ ვერ აგროვებს 76 მანდატს, მაშინ მან კოალიციაზე უნდა დაიწყოს ფიქრი. ოპოზიციური სპექტრიდან უნდა დაიმატოს მანდატები და ჩამოაყალიბოს კოალიციური მთავრობა. თუ ამას ვერ აღწევს, მაშინ სხვა პოლიტიკური ძალები ანუ ოპოზიცია იწყებს მთავრობის ფორმირებას. აი, ამ შემთხვევაში, ვინაიდან ყველაზე მეტი მხარდაჭერა სწორედ ნაციონალურ მოძრაობას აქვს, ამიტომ მათი პრემიერობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი იქნება.



***– შეიძლება ეს სურათი მივიღოთ?***

– რა თქმა უნდა, თუ 76 მანდატს ვერ აიღებს „ოცნება“. პარტიებს შორის „ქართული ოცნება“ პირველ ადგილზე ნამდვილად გავა, მაგრამ პირველ ადგილზე გასვლა არ ნიშნავს ავტომატურად 76 მანდატს. შეიძლება მან აიღოს 60 მანდატი 30 ნაციონალურმა მოძრაობამ.

***– ამ შემთხვევაში „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის კოალიცია წარმოგიდგენიათ?***

– ქართულ პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია, მაგრამ დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, დიდი ალბათობით, „ქართულ ოცნებას“ კოალიციაზე ფიქრი არ დასჭირდება. თუ ასე გაგრძელდა, „ქართული ოცნება“ 76 მანდატს აიღებს. თუმცა, გამორიცხვით არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მით უფრო, პოლიტიკაში. ამიტომ, ორივე პარტიამ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ რიგგარეშე არჩევნებს ჯობია მოილაპარაკონ და სამინისტროები გადაინაწილონ. არ არის გამორიცხული, ძალოვანი სტრუქტურები დათმონ და ა.შ. ეს უკვე დეტალური მოლაპარაკებებისა და შეთანხმების საგანია. როგორც წესი, ასე იქმნება კოალიციები დასავლეთში. მაგალითად, ისრაელში ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული პარტია კოალიციაშია და ისე მართავენ ქვეყანას.




თუ, „ქართული ოცნება“ პირველივე ჯერზე ვერ შეძლებს მთავრობის ფორმირებას ან კოალიციით ან დამოუკიდებლად, მერე უკვე წარმატება ძალიან გაუჭირდება. მისი ელექტორალური მხარდაჭერა საგრძნობლად დაეცემა.

***– ვადამდელ არჩევნებზე შერყეული იმიჯით გავა?***

– დიახ, სწორედ ამას ვამბობ. მერე უკვე სულ სხვა რეალობის წინაშე იქნება. ამიტომ, ყველა შემთხვევაში „ოცნება“ შეეცდება კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბოს.

***– ამერიკის ელჩმა განცხადება გააკეთა, ის არ გამორიცხავს არჩევნებში რუსეთის ჩარევას. როგორც ჩანს, რეალური ინფორმაცია აქვს. რას იტყვით, შეიძლება მშვიდად არ დამთავრდეს არჩევნები?***

– საქართველოში არ ჩატარებულა არც ერთი არჩევნები, სადაც რუსეთი არ ჩარეულიყო. მეტიც, თავის დროზე შევარდნაძის წასვლა და ახალგაზრდების გუნდის მოსვლა რუსეთ-დასავლეთის თანხმობით მოხდა და ეს ყველამ იცის.

ასე რომ, ჩვენთვის ეს სიახლეს არ წარმოადგენს. ეს შეიძლება სიახლე იყოს დასავლეთისთვის. საქართველოში მეხუთე კოლონა რომ არის, არც ეს არ არის სიახლე.

რაც შეეხება არჩევნებზე რა გავლენა ექნება ამ ფაქტორს, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი, ვფიქრობ, საზოგადოებაში არ არის ისეთი განწყობები, რომ ამან დასაყრდენი ჰპოვოს ხალხში. მე მაინც ვფიქრობ, უმტკივნეულოდ გადავლახავთ. დუღილის ტემპერატურა არის, მაგრამ არა ისეთი, რომ რაიმე გამოიწვიოს. ამ ორ თვეში რაიმე ისეთი არაორდინარული რამ თუ არ მოხდა, ეს ტემპერატურა იქამდე არ აიწევს, რომ ბელარუსიის მოვლენები მივიღოთ.

დღეს ოპოზიციას შეუძლია ქუჩაში ხალხის იმ რაოდენობის მობილიზება, რაც გავრილოვის ღამეს. ოპოზიციას გაცილებით მეტი ელექტორალური მხარდაჭერა აქვს, ვიდრე ქუჩის. ვერ გეტყვით, რამდენად არის დღეს ხალხი მზად ქუჩაში გასასვლელად.

***– თუ ოპოზიციას ქუჩაში გასვლა დასჭირდა, ქუჩაში მისივე ამომრჩევლის მხარდაჭერას არ უნდა ელოდოს?***

– შეიძლება რუსთაველი გადაკეტონ, მაგრამ მასობრივი გამოსვლები თბილისის ქუჩებში არსებული მდგომარეობით მოსალოდნელი არ არის. „ვარდების რევოლუციის“ დროს ერთი თვე იდგა ოპოზიცია ქუჩაში და შედეგიც მიიღო. დღეს, ეს რესურსი არ არის. ვერ გეტყვით, რა იქნება ორი თვის შემდეგ. თუ რაიმე ექსტრაორდინარული არ მოხდა, ვფიქრობ, ეს განწყობები არ შეიცვლება.



**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ.: 598-43-98-57**

# „31 ოქტომბრის შემდეგ რიგგარეშე არჩევნები გამორიცხული არ არის“

## სოსო შატბერაშვილი: „ნათელაშვილის ოფისში გაერთიანებული ოპოზიციის ნამდვილი მიზანი ხმების დაცვა არ არის“

მარიამ მჭედლიშვილი

**საარჩევნო საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარეს, სოსო შატბერაშვილს.**



***– სამი-ოთხი დღეა, საქართველოში არჩევნების მოახლოება უფრო იგრძნობა. ბოლო საპარლამენტო არჩევნები 2016 წელს იყო. რა საერთოს და განსხვავებას ხედავთ მაშინდელ და ახლანდელ წინასაარჩევნო პერიოდს შორის?***

– საერთო ნაკლებია, განსხვავება კი რამდენიმე არსებობს. ჯერ ერთი, 2016 წელს „ქართული ოცნება“ მეორე ვადით მოდიოდა, მისი რეიტინგიც უფრო მაღალი იყო. დასავლეთში მესამე ვადით ხელისუფლებაში მოსვლას ცუდად უყურებენ. მესამე ვადა მისაღებია ისეთი სახელმწიფოებისათვის, როგორიცაა რუსეთი, ბელარუსი, აზერბაიჯანი, თურქეთი და სხვა. ჩვენი დასავლელი პარტნიორები ისედაც მძაფრად აკრიტიკებენ საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებას. ამერიკელი სენატორებისა და კონგრესმენების მრავალრიცხოვან წერილებში საუბარი იყო შესაძლო სანქციებზეც საქართველოს ლიდერების მიმართ. უცნაურია, მაგრამ დასავლეთის წარმომადგენლებმა ბიუჯეტის ქურდს, თბილისის ყოფილ მერს უწოდეს პოლიტპატიმარი და მოითხოვეს მისი გათავისუფლება. იგივე მოთხოვნა იყო ირაკლი ოქრუაშვილის მიმართაც, რომელსაც სხვადასხვა მაღალი პოსტი ეკავა და რომელსაც სხვადასხვა ბრალი აქვს წარდგენილი. უგულავა და ოქრუაშვილი პოლიტიკოსები მაინც არიან. პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არა აქვს გიორგი, იგივე ჟორიკა რურუას. ისიც პოლიტპატიმარი გახდა.

***– დასავლელი პარტნიორები ერიდებიან ტერმინს „პოლიტპატიმარი“. ისინი საუბრობენ სამართლიან მართლმსაჯულებაზე.***

– ამ ხალხის გათავისუფლების მოწოდება უკვე ნიშნავს, რომ ამ პირებს თვლიან პოლიტპატიმრებად და პოლიტიკურ დევნილებად. აბა, როდის იყო, სისხლის სამართლის დამნაშავის გამოშვებას ვინმე ითხოვდა! მაშინდელ პერიოდთან კიდევ ერთი განსხვავება ისაა, რომ ოპოზიციის ნაწილმა გაერთიანება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ვგულისხმობ იმ ოპოზიციას, რომელიც ნათელაშვილის ოფისში იკრიბებოდა. 2016 წლის არჩევნების წინ, ეს არ ყოფილა. მაშინ დაშლილი იყო „ქართული ოცნების“ კოალიციაც. თუმცა, მმართველმა პარტიამ საკუთარ სიაში ჩასვა სხვა პარტიების ლიდერები (კონსერვატორები, მწვანეები, სოციალ-დემოკრატები). ახლა ეს პარტიები ცალკე გადიან არჩევნებზე. „ქართულ ოცნებაში“ კი იზრდება ყოფილი ნაციონალების რიცხვი.

***– „ქართული ოცნების“ შანსი ამ არჩევნებზე არც ისე დიდია?***

– რასაკვირველია. მესამე ვადის მოახლოებით ამ პარტიას შანსები უმცირდება.

***– წარმოვიდგინოთ სცენარი, რომ „ქართული ოცნება“ ვერ იღებს უმრავლესობას.***

– მე მხოლოდ მოვლენების შესაძლო განვითარებაზე ვისაუბრებ. ვანგა და ლელა კაკულია არა ვარ, არც „ქართული ოცნების“ მომხრე. თუ „ქართული ოცნება“ უმრავლესობას ვერ მოიპოვებს, დაიწყება პოლიტიკური არმაგედონი.

***– რატომ?***

– საჭირო გახდება კოალიციური მთავრობის დაკომპლექტება. ვინ უნდა დააკომპლექტოს მთავრობა? – „ოცნებამ“, ნაცმოძრაობამ, „ევროპულმა საქართველომ“ და „პატრიოტთა ალიანსმა“. ეს ძალები ახლა არიან დარეულები და მერე რას იზამენ, როცა მთავრობაში მოუნდებათ ადგილების გადანაწილება?! დავდგებით იმის წინაშე, რომ საჭირო გახდება რიგგარეშე არჩევნები. ეს გამორიცხული არ არის. იტალიასა და ძველი დემოკრატიის სახელმწიფოებში ასეთი რამ ხდება. ისინი ამას უძლებენ. საქართველოში უფრო მძიმე ვითარებაა. ამას თავიდან ავიცილებდით, თუ შეიქმნებოდა ძლიერი მესამე პოლიტიკური ცენტრი. იქ შევიდოდნენ ისინი, ვინც არ არის „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობაში, ან მის განშტოებებში. ასეთი ცენტრი ვერ ჩამოყალიბდა, რაც სამწუხაროა.

***– აღნიშნეთ, რომ ოპოზიცია ვერ გაერთიანდა. ეს პარტიები ერთი სიით ან ერთი ბლოკით არ მონაწილეობენ არჩევნებში, მაგრამ ერთმანეთთან თანამშრომლობენ. მათ შორის, ხმების დაცვის საქმეში.***

– ამ პარტიებმა მემორანდუმიც გააფორმეს. ეს არაფერს ნიშნავს. ისინი ერთმანეთთან ვერ იქნებიან.

***– რატომ, ვერ დაიცავენ ერთად ხმებს?***

– იმიტომ, რომ ამ პოლიტიკოსებს ერთმანეთი დასანახავად სძულთ. ბევრი მათგანი ვერ იტანს შალვა ნათელაშვილს. თავის მხრივ, შალვა ნათელაშვილს ეჯავრება ბევრი პოლიტიკოსი, რომელიც მის ოფისში დადის. მე მარტო პირველ პირებს კი არ ვიცნობ ამ პარტიებში, მეორე და მესამე პირებსაც. ზოგს მეორე პირიც არ ჰყავს. რომ გავიმეორო ის სიტყვები, რასაც ნათელაშვილი ზოგიერთ პოლიტიკოსზე ამბობდა კულუარებში, ნიკა გვარამია უნდა ვიყო. ნათელაშვილს უფრო კულტურული ფორმით ამ პოლიტიკოსებზე საჯაროდაც ულაპარაკია ბევრი ცუდი.

***– ეს პოლიტიკოსები ხმების დაცვის სურვილმა გააერთიანა. რა მნიშვნელობა აქვს სიყვარულს და სიძულვილს?***

– ნათელაშვილის ოფისში გაერთიანებული ოპოზიციის ნამდვილი მიზანი ხმების დაცვა არ არის. ჯამში ამ ოპოზიციამ პირველი ადგილი რომ დაიკავოს, მაინც გამოვლენ. ისინი ემზადებიან რევოლუციური სცენარისათვის. მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა, ნაცმოძრაობა მუდმივად ემზადება რევოლუციისათვის. ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ერთ-ერთი მაგალითია ბათუმის არეულობა. რამდენიმე წლის წინ ბათუმში დაწყებული პროვოკაცია ლამის მთელ ქვეყანას მოედო. ნაციონალები ყველგან მობილიზებული იყვნენ. ახლა, კრიმინალური ფაქტი მოხდება თუ სტიქია, ნაციონალები ყველაფერს ხელისუფლებას აბრალებენ და ყველაფერს საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ.

***– რევოლუციის მოწყობა ადვილი არ არის?***

– ფერადი რევოლუციების დრო მსოფლიოში დამთავრდა. ბელარუსში ეს ვერ მოხდა. ფერადი რევოლუციების ეპოქა აღარ არის. ნაციონალებს ხალხის მხარდაჭერაც არა აქვთ. სხვათა შორის, 2003 წელს, ე. წ. რევოლუციის დროს, ნაცმოძრაობის რეიტინგი სულ 10% იყო. ეს დიმიტრი შაშკინისგან ვიცი. ის იმ პერიოდში არასამთავრობო სექტორში საქმიანობდა. თუმცა, ერთად შეკრებილი მომხრეების რიცხვი შთამბეჭდავი გამოდგა. „ვარდების რევოლუციაზე“ კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით. ერთ ინტერვიუში გავაკრიტიკე ვალერი ხაბურძანია, რომელიც 2003 წელს უშიშროების მინისტრი იყო. ვთქვი, რომ მან ხელი შეუწყო რევოლუციას. ხაბურძანია გამომეხმაურა და მითხრა, რომ მას რევოლუციის აღკვეთა არ შეეძლო, ვინაიდან ამ რევოლუციაში ჩართული იყო თავად პრეზიდენტი შევარდნაძე. შევარდნაძეს უნდა გადაებარებინა ხელისუფლება.

# არჩევნებზე არამართლზომიერი გავლენა, შესაძლოა, 3-წლიანი პატიმრობით დაისაჯოს



„საარჩევნო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებებით, არჩევნების შედეგებზე არამართლზომიერი გავლენის მოხდენა სისხლისსამართლებრივად დასჯადი იქნება.

როგორც ბიუროს სხდომის დასრულების შემდეგ საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გურამ მაჭარაშვილმა აღნიშნა, კანონპროექტის თანახმად, თუ პირი არამართლზომიერი გავლენის მოხდენას შეეცდება, ამისთვის პასუხისმგებლობის სახით სისხლისსამართლებრივი ჯარიმა, 6 თვიდან 2 წლამდე შინაპატიმრობა და 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა იქნება განსაზღვრული.

– ჩვენ მიერ ინიცირებულია საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც საარჩევნო კოდექსში შედის ცვლილებები. კერძოდ, თუ რომელიმე პირი მოისურვებს, რომ გარკვეული ტიპის არამართლზომიერი ზეგავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე დაშინებით ან იძულებით, მკაცრდება კანონმდებლობა, სანქციების ფორმატში.

ასეთ შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იქნება იმ პირის მიმართ, რომელიც დანაშაულს ჩაიდენს და არამართლზომიერად დააპირებს, რომ შედეგებზე მოახდინოს ზეგავლენა. კონკრეტულად, ჩვენ სამი ტიპის გრადაცია მოვახდინეთ სანქციების: სისხლისსამართლებრივი ჯარიმა, შემდგომი არის 6 თვიდან 2 წლამდე შინაპატიმრობა და კიდევ უფრო მკაცრი სანქცია გახლავთ 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, – განაცხადა მაჭარაშვილმა.

# გორის ჰოსპიტალის დირექტორმა გარდაცვლილი პაციენტები კლინიკაში ვალის დასაფარავად დაიბარა

გორში, წლების წინ გარდაცვლილების სახელზე, სამხედრო ჰოსპიტალიდან წერილები მიიღეს.

დირექტორი 5-8 წლის წინ გარდაცვლილებს დავალიანების დასაფარავად კლინიკაში 2 კვირის განმავლობაში გამოცხადებას სთხოვს.

„კურიერს“ მოქალაქეებმა 19 აგვისტოთი დათარიღებული 2 წერილი მიაწოდეს. ჰოსპიტალში განმარტავენ, რომ წერილები დავალიანების მქონე პაციენტებს დაეგზავნათ.

თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით კი, ბოლო 3 წლის განმავლობაში სამხედრო ჰოსპიტალში დაგროვილი დავალიანება მოქალაქეებს ჩამოეწერებათ.

ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, არჩევნებამდე 2 თვით ადრე თავდაცვის სამინისტრო მილიონ ექვსასი ათასი ლარის ჩამოწერას გეგმავს 1.000-მდე ადამიანისთვის, რომლებსაც სამხედრო ჰოსპიტალის დავალიანება ჰქონდათ.

განცხადება თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გორში გააკეთა.

ლელა ჩიქოვანი ამბობს, რომ ეს არ არის საარჩევნო მოსყიდვა და მინისტრმა გადაწყვეტილება მოქალაქეების საჭიროებებიდან გამომდინარე მიიღო.

რუსთავი 2

# ბორჯომთან ლექსუსი ხევში გადავარდა

## დაიღუპა ბავშვი, 4 მგზავრი დაშავდა

30 აგვისტოს ბორჯომში ავტოავარიას არასრულწლოვანი ემსხვერპლა.

ზანავი-კორტანეთის საავტომობილო გზაზე „ლექსუსის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანა 10 მეტრის სიმაღლიდან გადავარდა.

ავტომობილი, რომელიც ბორჯომიდან თბილისის მიმართულებით მოძრაობდა, ხევში გადავარდა. მანქანაში ხუთი ადამიანი იმყოფებოდა, აქედან მცირეწლოვანი ბავშვი გარდაცვლილია. ინფორმაციას ჯეოჰოსპიტალსის ბორჯომის სამედიცინო ცენტრში ადასტურებენ.

დანარჩენი ოთხი დაზარალებული, რომელიც სავარაუდოდ ერთი ოჯახის წევრები არიან, საავადმყოფოში რჩებიან ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ. სამედიცინო ცენტრის დირექტორის ირაკლი დიასამიძის ინფორმაციით, მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით დაიწყო.

# გარდაბანში 35 წლის მამაკაცი სარწყავ არხში დამხრჩვალი იპოვეს

გარდაბანში, სოფელ ნაგებში მაშველებმა 35 წლის მამაკაცი სარწყავი არხიდან დამხრჩვალი ამოიყვანეს. ცხედარი რუსთავის პროზექტურაში გადაასვენეს.

მამაკაცი მამასთან ერთად სათევზაოდ იყო წასული, როდესაც ის სარწყავ არხში ჩავარდა.

საქმე აღძრულია 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით.

# ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში სამართალდამცავების მობილიზებაა

## ბიბილოვი ხალხს ინალ ჯაბიევის საქმის გამოძიების გაკონტროლებას დაჰპირდა

მარიამ მჭედლიშვილი

აგვისტოს ბოლო უქმეების განმავლობაში საქართველოს ოპოზიცია სხვა საკითხებიდან ცხინვალის რეგიონზე გადაერთო. ამის საბაბი გახდა 28 წლის ცხინვალის მცხოვრების, ინალ ჯაბიევის საეჭვო გარდაცვალება. ქართული ოპოზიციის ნაწილი მის დაღუპვაში დამნაშავე პირების ინტერპოლით ძებნას მოითხოვს, ნაწილი – ცხინვალის იზოლატორში მყოფი ქართველების დაცვას, ნაწილი კი – ამ შემთხვევის გამოყენებას რუსეთზე ზეწოლისათვის. არჩილ ტატუნაშვილის მწამებელი რეჟიმი დიდი ხანია, საკუთარ მოქალაქეებსაც (დაკავებულებსა და მსჯავრდებულებს) არ ინდობს, თუმცა ადგილობრივები ამაზე დუმდნენ.

წინასწარი დაკავების იზოლატორიდან საავადმყოფოში გადაყვანილი ჯაბიევი მაშინვე დაიღუპა. სოციალურ ქსელში გავრცელდა მისი ფოტოები სხეულზე სხვადასხვა დაზიანებით. ნაწამები ჯაბიევის ფოტოებმა რეგიონის მორჩილი მოსახლეობაც კი აღაშფოთა და ქუჩაში გამოიყვანა.

საზოგადოებამ რეგიონის მთავრობის გადაყენება და დამნაშავეების დასჯა მოითხოვა. საპროტესტო აქციებს მიუჩვეველი რეჟიმის მეთაური, დე ფაქტო პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი დაეთანხმა ერიკ ფუხაევის მთავრობის გადადგომას.

განსაკუთრებული აგრესია ხალხმა გადაყენებული შინაგან საქმეთა მინისტრის იგორ ნანიევის მიმართ გამოხატა. ინალ ჯაბიევი და კიდევ რამდენიმე პირი სწორედ მასზე 17 აგვისტოს განხორციელებული თავდასხმის ბრალდებით დააკავეს. ამ დღეს ნანიევის მანქანა დაცხრილეს.

ხალხს ეჭვი ეპარება, რომ დაკავებულები დამნაშავეები არიან.

– გვაჩვენონ სხვა დაკავებულები. მათ ვკითხავთ, ვინ სცემს მათ, ვინ მოკლა ჯაბიევი – აცხადებდნენ შეკრებილები.

– მათი ბრალი დამტკიცებული არ არის, – ამბობდნენ მოქალაქეები.

ხალხი შეთანხმდა, რომ ეს რეგიონში მომხდარი ერთადერთი უკანონობა არ არის.

– ნუთუ ეს ყველაფერი ჩვენს პატარა და მშვიდ ცხინვალში ხდება? – კითხულობდნენ გულუბრყვილო მოქალაქეები.

ცხინვალის რეგიონის პარლამენტი, აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოსგან განსხვავებით, აქტიურობითა და პლურალიზმით არ გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, შარშან ცხინვალის კოლონიაში არსებულმა მდგომარეობამ ცხინვალელი დეპუტატებიც აალელვა.

პარლამენტში დაბარებულმა შს მინისტრმა ნანიევმა და იუსტიციის მინისტრმა ლალიევამ აღიარეს, რომ პატიმრების მიმართ ძალას იყენებენ. მინისტრები მას შემდეგ გამოჰკითხეს, რაც კოლონიაში პატიმრები შიმშილობდნენ პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით.

დეპუტატებმა დაიწყეს ამ მინისტრებისათვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების პროცედურა, მაგრამ სპიკერისა და პარლამენტის პრეზიდიუმის წინააღმდეგობას წააწყდნენ.

დეპუტატების კოლონიაში სტუმრობაც სავალალოდ დასრულდა. მოშიმშილე პატიმრების მონახულების შემდეგ მათი პირობები ნაწილობრივ გაუმჯობესდა, თუმცა პროტესტანტები დასაჯეს – 6 მოშიმშილეს სასტიკად გაუსწორდნენ.

ამჟამად ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებებს საზოგადოება აპროტესტებს. მიტინგები მთავრობის გადადგომის შემდეგაც გაიმართა. სამართალდამცავები გადაყვანილი არიან მუშაობის საგანგებო რეჟიმზე. შსს-ს 8 თანამშრომელი გამოძიების პროცესში ჩამოაშორეს თანამდებობას.



შეფუცხუნებული დე ფაქტო პრეზიდენტი ბიბილოვი, რომელიც დროგამოშვებით რუსეთთან მიერთების იდეას ახმოვანებს, აცხადებს, რომ ჯაბიევის საქმის გამოძიებას პირადად გააკონტროლებს.

ამასთან, იგი დაუშვებლად მიიჩნევს მოწოდებებს, რომლებიც არღვევს სტაბილურობას რესპუბლიკაში.

# თეონა თამაზაშვილი: „თამარის სიკვდილი სუსთან და იარაღით ვაჭრობასთანაა დაკავშირებული“

თამარ ბაჩალიაშვილის დედა, თეონა თამაზაშვილი, მისი შვილის სკანდალურ საქმეში ჩართვასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსიაზე საუბრობს. თამაზაშვილი არ გამორიცხავს, რომ საქმის ერთ-ერთი ფიგურანტი დეა კაპანაძე მის შვილთან სპეციალურად დაამეგობრეს და უკანონო საქმეში ჩაითრიეს.




– შესაძლოა, დეას გზითაც გავიდნენ, ესეც საეჭვოდ მეეჭვება, რომ დეას დამეგობრება რამდენიმე წლის წინ მოხდა თამუნასთან, სპეციალურად დაამეგობრეს დეა, რომ მერე ამის მიხედვით მოეხდინა ეს ყველაფერი, – ამბობს თამაზაშვილი.

ბაჩალიაშვილის დედა „მთავართან“ მის ახლობელზე განხორციელებულ სავარაუდო ზეწოლაზე საუბრობს. ის რამდენიმე დღის წინ მომხდარ ინციდენტსაც იხსენებს:

– არის ასეთი ბიჭი შოთიკო ჭაბაშვილი, რომელიც მეხმარებოდა აქციების მოსაწყობად. ეს ბიჭი 2 დღეა არ შემხმიანებია, ჩემი წყაროებით გავიგე, რომ ამ ბიჭს მოუწყვეს პროვოკაცია, ვარკეთილის მეტროსთან მივიდა ვიღაცა შავგვრემანი ბიჭი და სთხოვა, ტელეფონზე დამარეკინეო, გამოართვა ტელეფონი და აღარ დაუბრუნა, აღარ დაგიბრუნებო. შოთიკომ პოლიციაში განაცხადა და პოლიციის განყოფილებაში ის სცემეს“ – ამბობს ბაჩალიაშვილის დედა.

ამ ინციდენტის შემდეგ ის შოთიკო ჭაბაშვილს ვეღარ უკავშირდება. თეონა თამაზაშვილი მისი შვილის საქმესთან დაკავშირებით თურქეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლებებს მიმართავს და ქართულ სამართალდამცავ უწყებებს უნდობლობას უცხადებს.

თამაზაშვილი არ გამორიცხავს, რომ მკვლელობის საქმე რუსულ კვალამდე მიდიოდეს.

30 აგვისტოს თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის წევრებმა გენერალურ პროკურატურასთან აქცია გამართეს.

აქციაზე ბაჩალიაშვილის დედამ თქვა, რომ მისი შვილი სავარაუდოდ გარკვეულ ტრანზაქციებში, ყარაბაღში იარაღის შესატანად გამოიყენეს, რის შემდეგაც ის მოიშორეს.

თეონა თამაზაშვილის თქმით, თამარის სიკვდილი სწორედ უშიშროების სამსახურთან და იმ ქართველ მაღალჩინოსნებთანაა დაკავშირებული, რომლებიც იარაღის საერთაშორისო ვაჭრობით ხეირობდნენ.

შეგახსენებთ, რომ თამარ ბაჩალიაშვილი 18 ივლისს გაუჩინარდა. ახალგაზრდა პროგრამისტი შაბათს სახლიდან გავიდა და სათვალთვალო კამერებმა ბოლოს თეთრიწყაროს რაიონში დააფიქსირეს. 23 წლის თამარ ბაჩალიაშვილი თეთრიწყაროს ტყეში, საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს. ერთ-ერთი ვერსიით, ბაჩალიაშვილის გაუჩინარება მის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდება.

25 ივლისს, პროკურატურამ ბაჩალიაშვილის მამა დაზარალებულად ცნო და საქმის გამოძიებას თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლი დაუმატა. გამოძიება, ამ ეტაპზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 115-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

# „დედაჩემს 2 ადამიანი აკავებდა და 1 ურტყამდა, თან ეუბნებოდა, თავში ჩაარტყიო“

## რა მოხდა „სითი მედიკალში“

კლინიკა „სითი მედიკალში“ ექიმების მხრიდან პაციენტზე სავარაუდო ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა.

პაციენტის ოჯახის წევრები კლინიკის მედპერსონალს 77 წლის ქალზე ძალადობაში ადანაშაულებენ.

– პირდაპირი მნიშვნელობით ძალადობას ვუსვამთ ხაზს, საგამოძიებო უწყება თვითონ იყო შესული და აპირებენ ექსპერტიზასაც. ველოდებით კამერების გახსნას, რომ ნახონ და გადმოგვცენ ინფორმაცია. ჩვენ არ გვიშვებენ კამერებამდე, ასეთი პროტოკოლიაო. მინდა კამერები გაიხსნას, რომ ნამდვილად დამტკიცდეს, რატომ არის ჩალურჯებები, – განაცხადა პაციენტის ახლობელმა რუსუდან ხარაბაძემ.

– მამაჩემმა რომ ნახა დედაჩემი, უთხრა, რომ ღამე მორიგე ექიმმა მცემაო. მეთქი რას ქვია გცემა-თქო, ჩვენ ვერავინ ეს ვერ დავიჯერეთ, რადგან ეგეთი რაღაცა წარმოუდგენელია, რადგან როგორ შეიძლება ასაკოვანი, 77 წლის მძიმე რეანიმაციის პაციენტის ცემა.

გუშინ სხეულზე არაფერი არ ჰქონდა, ახლა ორივე ხელი თავიდან ბოლომდე დალურჯებული აქვს, იმიტომ, რომ აკავებდა ორი და ერთი ურტყამდა და კიდევ თურმე ეუბნებოდა, თავში ჩაარტყიო. ტელეფონი გატეხილი აქვს, ეტყობა გაუტეხეს და გამოურთეს, რომ არ დაერეკა ჩვენთან და ღამის პერანგზე აღარცერთი ღილი აღარ აქვს, იმიტომ, რომ შემოახიეს, – უთხრა



რუსთავი 2-ს პაციენტის ქალიშვილმა.

აღნიშნულ ფაქტს არ ადასტურებს კლინიკა „სითი მედიკალის“ დირექტორი ნიკა მენთეშაშვილი და აცხადებს, რომ ბრალდება სიმართლეს არ შეესაბამება.

– კამერებიდან აიღეს ჩანაწერი. ვინც არ არის აპარატულ სუნთქვაზე, იმან დაადასტურა, რომ არაფერი ყოფილა. მე თვითონ ვუყურე ჩანაწერებს, მე იქ ვერაფერი დავინახე, არ ვიცი, პოლიცია რას დაინახავს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სიმართლეს არ შეესაბამება ეს განცხადება, – განაცხადა ნიკა მენთეშაშვილმა.

აღნიშნულ ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა) და 187-ე მუხლით (ნივთის დაზიანება ან განადგურება) დაიწყო.

# პატრულის მანქანამ 12 წლის ბავშვი მოკლა

## რა მოხდა ლისის გზაზე

ლისის გზაზე პატრულის ავტომანქანა ქვეითად მოსიარულე ბავშვს დაეჯახა, რომელიც საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, საქართველოს პროკურატურამ ლისის გზაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.)

„გამოძიებით დგინდება, რომ 2020 წლის 30 აგვისტოს, დაახლოებით 23:00 საათზე, ლისის გზაზე მოძრავი საპატრულო პოლიციის ავტომანქანა, ქვეითად მოსიარულე 2008 წელს დაბადებულ მ.გ.-ს შეეჯახა, რომელიც ჟვანიას სახელობის საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

სისხლის სამართლის საქმეზე ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

პოლიციელი დაკავებულია.

# სანაპიროზე მანქანის მძღოლი დაიღუპა

თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა.

ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. შედეგად, ერთი ავტომობილის მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა, მეორე მძღოლი კი დაშავდა.

დაშავებული საავადმყოფოშია გადაყვანილი.

როგორც საქართველოს პირველ არხს შსს-ში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით აღძრულია საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით, რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# სუსი: „თამარ ბაჩალიაშვილს ჩვენ არ ვუთვალთვალებდით“




სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება და აღნიშნავს, რომ თამარ ბაჩალიაშვილის ტრაგიკულ შემთხვევასთან სუს-ს არანაირი შემხებლობა არ გააჩნია.

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს გამოვეხმაუროთ მასმედიაში გავრცელებულ მცდარ ინფორმაციას, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კუთვნილი ავტომობილების მეშვეობით, გარდაცვლილი თ. ბაჩალიაშვილის მიმართ შესაძლო თვალთვალის განხორციელებასთან დაკავშირებით.

პირველ რიგში, სამსახურის სახელით გვსურს თანავუგრძნოთ გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს და სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ აღნიშნულ ტრაგიკულ შემთხვევასთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს არანაირი შემხებლობა არ გააჩნია.

მიზანმიმართულად გავრცელებულ ყველა არასწორ ვერსიას გააჩნია აღნიშნული სამსახურის და მისი ღირსეული თანამშრომლების დისკრედიტაციის და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზანი. აღნიშნული ცრუ ვერსიების გავრცელების უკან კი დგანან პოლიტიკურად ანგაჟირებულ პირთა ჯგუფები და კონკრეტული მედია საშუალებები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ავტომობილების გადაადგილება აღნიშნულ მარშრუტზე ხორციელდება ყოველდღიურად, რაც უკავშირდება თანამშრომლების მიერ დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერად და ღირსეულად შესრულებას.

მოვუწოდებთ ყველა დაინტერესებულ ჯგუფს, გამოიჩინონ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, თავი შეიკავონ არასწორი ინფორმაციის გავრცელებისგან და საზოგადოებაში არსებული ინტერესის გათვალისწინებით, დაელოდონ გამოძიების შედეგებს, რომელიც აუცილებლად მოჰფენს ნათელს საზოგადოებისთვის ყველა დღემდე უცნობ დეტალს. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებთ გარდაცვლილი ახალგაზრდას ოჯახს“ – ნათქვამია სუს-ის ინფორმაციაში.

# არჩილ გაგნიძესთან ციხეში პროკურორი შევიდა

ბრალდებულ არჩილ გაგნიძის ადვოკატები აცხადებენ, რომ შაბათს, გლდანის მერვე დაწესებულებაში შესული იყო საქმის ერთ-ერთი პროკურორი, რომლის ვინაობაც ადვოკატებისთვის უცნობია.

ისინი სათვალთვალო კამერების ჩანაწერების ამოღებას მოითხოვენ.

– შაბათს შესული იყო პროკურორი და ითხოვდა ჩვენებას, სამწუხაროა, რომ ამ გზით ცდილობს პროკურატურა ინფორმაციის მიღებას და არ გვატყობინებს დაგეგმილ საგამოძიებო მოქმედებებზე. გვაქვს უამრავი კითხვა, ასევე შაბათ დღეს არ არის დაშვებული შესვლა და გაურკვეველია, რატომ და ვინ იყო, – განაცხადა ადვოკატმა ვასილ მამულაშვილმა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის განცხადებით, არჩილ გაგნიძის ადვოკატების განცხადება მათი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ ზეწოლაზე არის სიცრუე და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა.

ამის შესახებ უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„საზოგადოების ინფორმირების მიზნით, გვსურს განვაცხადოთ, რომ ბრალდებულმა არჩილ გაგნიძემ მისი საქმის პროკურორთან, მოკლე დროში შეხვედრა მოითხოვა და შესაბამისი



განცხადებით პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას წერილობით მიმართა. აღნიშნული განცხადების საფუძველზე პროკურორი პენიტენციურ დაწესებულებაში მივიდა, თუმცა მასა და ბრალდებულს შორის კომუნიკაცია არ შედგა, რადგან არჩილ გაგნიძემ იმ მოტივით, რომ შეხვედრას მისი ადვოკატები არ ესწრებოდნენ, უარი განაცხადა პროკურორთან გასაუბრებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდებულ არჩილ გაგნიძის ადვოკატების განცხადება – მათი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ ზეწოლაზე, არის სიცრუე და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა, – ნათქვამია განცხადებაში.

# ნარკორეალიზაციის ბრალდებით 2 პირი დააკავეს




შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული გ.პ. და 2001 წელს დაბადებული ლ.მ. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენის, შენახვის, გასაღების და გასაღების მომზადების ფაქტებზე დააკავეს.

დანაშაული 7-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა დაგეგმეს ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საფოსტო გზავნილით შეძენა და ე.წ „დადების მეთოდით“ გასაღება. დანაშაულის სისრულეში მოყვანის მიზნით, საფოსტო გზავნილი ჩამოვიდა საქართველოში. ამანათში მოთავსებული იყო ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების შემცველი ფხვიერი მასა, რომელიც ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა კანაბინომიმეტურად მოქმედ ქიმიურ ნაერთთა კლასს მიეკუთვნება.

წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე ნარკოტიკული საშუალების „დადების“ ორგანიზების მიზნით დაკავებულები ერთმანეთს შეხვდნენ, როდესაც ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18-260-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენისა და გასაღების მომზადებას, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენასა და შენახვას გულისხმობს.

# სვეტლანა ტიხანოვსკაია გაეროს უშიშროების საბჭოს სიტყვით მიმართავს

ბელარუსის ოპოზიციის ყოფილი საპრეზიდენტო კანდიდატი სვეტლანა ტიხანოვსკაია გაერო-ს უშიშროების საბჭოს სიტყვით მიმართავს. როგორც მის პრესსამსახურში აცხადებენ, ტიხანოვსკაია გაერო-ს უშიშროების საბჭოს შეხვედრაზე ვიდეოხიდის საშუალებით სიტყვით 4 სექტემბერს გამოვა, ხოლო 8 სექტემბერს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას მიმართავს.

ტიხანოვსკაია უშიშროების საბჭოს შეხვედრაზე ესტონეთმა მიიწვია. პრესსამსახურის განმარტებით, ტიხანოვსკაია საერთაშორისო საზოგადოებას სთხოვს, რომ პატივი სცენ ბელარუსის სუვერენიტეტს და ბელარუსი ხალხის ნებას.

მათივე ინფორმაციით, საერთაშორისო დონეზე შეხვედრებისას ტიხანოვსკაია ხაზს გაუსვამს ბელარუსში მიმდინარე საპროტესტო აქციების მშვიდობიან ხასიათს და განმარტავს, რომ



კრიზისიდან გამოსვლის საუკეთესო გზა მოლაპარაკებებია.

შეგახსენებთ, რომ სვეტლანა ტიხანოვსკაიამ ბელარუსი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დატოვა და ლიეტუვას შეაფარა თავი.

# კიევში ლუკაშენკოს პორტრეტი დაწვეს



უკრაინის დედაქალაქში ბელორუსის საელჩოსთან ანტი-ლუკაშენკური მიტინგი გაიმართა. მიიტანეს ვეებერთელა პორტრეტი, სადაც ლუკაშენკო ვლადიმერ პუტინთან ერთად იყო გამოსახული. მას ამშვენებდა წარწერა: რამდენად გაყიდე სამშობლო, მეძავის ნაშიერო?!

მიტინგზე გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ ბელარუსში აზვირთებულმა საპროტესტო ტალღამ სიმართლე გააშიშვლა. თურმე არავითარი ბელარუსული სახელმწიფო არ არსებობს. ქვეყანა რუსეთზეა მიჯაჭვული და იქ კვლავაც საბჭოთა კავშირია. ბელარუსში საშინელი რუსიფიკაციაა. ქვეყანას არც ბრძოლისუნარიანი არმია ჰყავს, არც ეფექტური ეროვნული სუკი. პოლიციის ნაცვლად არის საბჭოთა მილიცია, რომელიც შინაგანად კორუმპირებული სტრუქტურაა და გაბატონებულ უმცირესობას უფუძლება უმრავლესობისაგან იცავს.

აქციის ბოლოს საჯაროდ დაწვეს პორტრეტი, სადაც პუტინი და ლუკაშენკო იყვნენ გამოსახულნი.

ამას მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა.

# აბუ დაბისა და დუბაიში აფეთქებებს 3 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ორი აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც დაღუპულია 3 და დაშავებულია რამდენიმე ადამიანი.

ერთი აფეთქება დედაქალაქ აბუ დაბიში მოხდა, მეორე კი ტურისტულ ჰაბ – დუბაიში.

აბუ დაბიში ინციდენტი რაშიდ ბინ საიდის ქუჩაზე მოხდა, რომელიც დედაქალაქის აეროპორტისკენ მიმავალი მთავარი გზაცაა, სადაც გუშინ, 31 აგვისტოს, თელ-ავივიდან ისტორიული, პირველი პირდაპირი ავიარეისი შესრულდა და აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპისა და ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს მთავარი თანაშემწეები აბუ დაბიში ჩავიდნენ. აფეთქების შედეგად 2 რესტორანი დაზიანდა, დაიღუპა 2 და დაშავდა რამდენიმე ადამიანი.

დუბაის ერთ-ერთ რესტორანში მომხდარ



აფეთქებას კი 1ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ორივე ინციდენტის მიზეზად გაზის აპარატურა სახელდება.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ესპანური მედია ჩაკვეტაძეს აქებს

ესპანურმა ვებგვერდმა ქართველ ფეხბურთელ გიორგი ჩაკვეტაძეს საკმაოდ საინტერესო სტატია მიუძღვნა და 21წლის ქართველი ვრცლად დაახასიათა.

– გიორგი ჩაკვეტაძე საქართველოში დაბადებული ფეხბურთელია, რომელიც ამჟამად გენტის ღირსებას იცავს. იგი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ქართველი და ეროვნულ გუნდში ადგილი უკვე დაიმკვიდრა. მისი საფეხბურთო კარიერა თბილისის დინამოს აკადემიაში დაიწყო და შემდეგ ძირითად გუნდში გაგრძელდა. ბელგიაში იგი 2017 წელს ჩავიდა და გენტმა მის სანაცვლოდ 1.5 მილიონი ევრო გადაიხადა.

ეროვნულ ნაკრებში მას მშვენიერი სტა-



ტისტიკა აქვს და 7 შეხვედრაში 5 გოლი შეაგდო. საკლუბო დონეს რაც შეეხება, აქ ტრავმების გამო თავს გამოჩენას ვერ ახერხებს. მიმდინარე სეზონში მან გენტის მაისურით მხოლოდ 325 წუთი ითამაშა და 2 ასისტი გაიფორმა.

ჩაკვეტაძე ფლეიმეიქერია, მაგრამ მარცხენა ფლანგზე გარემარბადაც თამაშობს და ოდნავ უკნიდან ასპარეზობაც შეუძლია. იგი სიმაღლეში 183 სანტიმეტრია და ტრადიციული დაბალი შეტევი არ გახლავთ.

გიორგი ტექნიკური ფეხბურთელია. იგი შესანიშნავი დრიბლინგით გამოირჩევა და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ბურთი მიწებებული აქვს. ჩაკვეტაძე მეტოქეების ჩამოსაშორებლად ტექნიკური არსენალის გარდა, ფიზიკურ სიძლიერესაც იყენებს. მას მარცხენა ფლანგზე თამაში უყვარს და გამომდინარე იქიდან, რომ ტემპს სწრაფად ცვლის, დარტყმებისა და დრიბლინგის განხორციელებაზეა ორიენტირებული. ამასთან ერთად, ის ძალიან სწრაფი ფეხბურთელია და პატარა სივრცეში შესანიშნავად მოქმედებს.

კარგად კითხულობს თამაშს, აქვს ბრწყინვალე შორეული დარტყმა და ჯარიმების შესრულებაც შეუძლია, მაგრამ არის კომპონენტები, რომლებშიც მოსამატებელი აქვს.

ჩაკვეტაძე დაცვაში კარგად თამაშობს. როდესაც მისი გუნდი ბურთს კარგავს, სხვა შეტევებისგან განსხვავებით, იგი მოქმედებს არ ეთიშება და ბურთის დაბრუნებას ცდილობს. ქართველი ფეხბურთელი პრესინგს კარგად ფლობს და ვარდნების განხორციელებაც ეხერხება.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩაკვეტაძე ახალგაზრდაა და საკუთარი თამაშის გასაუმჯობესებლად დრო საკმარისად აქვს. მას გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროგრესი მართებს და აუცილებელია მარცხენა ფეხით უკეთ ითამაშოს. გასაუმჯობესებელი კომპონენტების მიუხედავად, ჩაკვეტაძეს ევროპული გრანდები, ბარსელონა, ბაიერნი და ტოტენჰემი აკვირდებიან. გიორგი საინტერესო ფეხბურთელია და ალბათ, უახლოეს მომავალში მისით წამყვანი ჩემპიონატის კლუბები დაინტერესდებიან.

შეგახსენებთ, 2018-19 წლების სეზონის მეორე ნახევარი ჩაკვეტაძემ ტრავმის გამო გაუცდა. 2019 წლის მაისში ოპერაცია ჩაუტარდა და მოედანს დაუბრუნდა, მაგრამ მეტწილად თამაშში მე-2 ტაიმში ერთვებოდა.

2019-20 წლების სეზონში გიორგი ჩაკვეტაძემ ბელგიის ჩემპიონატში 9 მატჩი ჩაატარა, სასტარტოში მხოლოდ ორჯერ მოხვდა და 2 საგოლე გადაცემა შეასრულა. გარდა ამისა, ევროპა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ლეგკანდრიასთან ითამაშა, ხოლო ფლეი ოფში რომას წინააღმდეგ ორივე მატჩში მეორე ტაიმში ჩაერთო თამაშში.

ბელგიის მიმდინარე ჩემპიონატის საწყისი ტურები გამოტოვა, ხოლო ბოლო ტურში სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო...

# მიხა ხელაშვილის საფლავი დააბეტონეს

საბჭოთა რეჟიმის მიერ მოკლული 25 წლის პოეტის, მიხა ხელაშვილის საფლავი, რომელიც ჩარგალში მდებარეობს, დააბეტონეს.

ინფორმაცია და ფოტო „მთის ამბებმა" გაავრცელა:

– „მთის ამბები" საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლის, მიხა ხელაშვილის შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებს. დღეს, ჩარგლის სასაფლაოზე მისულებს ასეთი სურათი დაგვხვდა. მიხა ხელაშვილისა და მისი დედის საფლავი დაუბეტონებიათ. ადგილობრივების თქმით, თიანეთის მერი საფლავის მოპირკეთებას გეგმავს.

ვინც მიხას ბიოგრაფიას, მის ხასიათსა და შემოქმედებას ცოტათი მაინც იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ჩატარებული სამუშაოები ყოვლად გაუმართლებელი და შეუსაბამოა გარემოსთან, მიხას ცხოვრების წესთან და, რაც მთავარია, ანდერძთან:




„მენაც თქვენსავერ მაღირსოს, შინ გათელილ კუბოს ფიცარსა, სამუდმოდ ჩასაბარებლად სამარეს ახადისასა!"

ნატვრისა და ანდერძის თანახმად, მიხას ახადში დაკრძალვა სურდა."



# ნიკოლოზ ხომასურიძემ პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო

ფილმ „ექვთიმეს" რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ გადაწყვიტა პოლიტიკაში წავიდეს და ნეოსაქართველოს ეგიდით სრულიად ახალი ცვლილებები შეიტანოს პარლამენტში.

რეჟისორი დიდორზე ავიდა და სპეციალური ვიდეორგოლი ჩაწერა, სადაც საკუთარ ხედვებზე დეტალურად ისაუბრა:

– მე, ნიკოლოზ ხომასურიძე მივდივარ პოლიტიკაში!

საქართველოში ლეგენდარული ცვლილებების დროა! ეროვნულობა და განვითარება ჩვენი სამშობლოსთვის! შემოგვიერთდით ნეოსაქართველოს!

# ლელა ვეფხვაძისთვის ნაჩუქარ სახლზე ბანერი გააკრეს



9 აპრილის უსინათლო გმირის, ლელა ვეფხვაძისთვის შეძენილ საცხოვრებელ სახლზე ბანერი გააკრეს:

– ლელა ვეფხვაძეს საქართველოს მადლიერი მოსახლეობისგან!

მომღერალს, რომელიც წლების განმავლობაში ქირით ცხოვრობდა და მეტროში სიმღერის დროს შეგროვილი ფულით ირჩენდა თავს, 60 წლის იუბილეზე სრულიად საქართველომ ბინა აჩუქა. სახლის ყიდვაში მონაწილეობა ფონდმა „ქართუმაც" მიიღო:

– ლელას საქართველოს მოქალაქეებისაგან. დაე, იცოდეს ერმა, სად ცხოვრობს მისი „მაჩაბელი".

როცა ბავშვები გაიზრდებიან, ჰკითხავენ მშობლებს, ვინაა დე ან მამა ლელა ვეფხვაძე? მშობლებიც მოუყვებიან 9 აპრილის ამბებს.

# ანსამბლი „გვირილა" 25 წლისაა

ანსამბლი „გვირილა" 25 წლის გახდა. იუბილე სახელოვნებო სტუდიამ თბილისის საკრებულოში საგანგებო კონცერტით აღნიშნა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო „გვირილას" წარმატებული საფესტივალო ტურნეს ამსახველი მასალა. სალამის უძღვებოდა ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა მუზეუმის ღირსების ფონდის პრეზიდენტი, სორტულ კომენტატორი ჯამალ ხუხაშვილი. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერმა გია ვოლსკიმ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორო-



ბის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ლიკა გიგაურმა, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა, თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ რიმა ბერაძემ, მსოფლიო ქართველ ებრაელთა მთავარმა რაბინმა იაკობ გაგულაშვილმა, მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტმა ევა ბაბალაშვილმა, სახელოვნებო სტუდია „გვირილას" დამფუძნებელმა ერნა წიფურიამ.

გამომსვლელებმა ყურადღება გაამახვილეს ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი მეგობრობის განმტკიცების საქმეში ხალხთა შორის კულტურული კავშირების განვითარების მნიშვნელობაზე. ხაზი გაესვა სტუდია „გვირილას" საგასტროლო ტურნეს როლს, როგორც ამ მიმართულებით, ისე, საზოგადოდ, ახალ თაობაში სასიმღერო ხელოვნების პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

შეხვედრას ესწრებოდნენ კულტურის დამსახურებული მოღვაწეები კახი კავსაძე, მედეა ამირანაშვილი, ომარ მხეიძე და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

სალამის დასასრულს წარმოდგენილი იყო სახელოვნებო სტუდია „გვირილას" ისრაელში საგასტროლო ტურნეს ამსახველი ვიდეო-კოლაჟი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ლომებმა ნაკრძალის თანამშრომელი დაგლიჯეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ ხუდსპრეიტში ნაკრძალის თანამშრომელი ორი ლომის თავდასხმის შედეგად დაიღუპა.

ოთხშაბათს, 26 აგვისტოს 68 წლის უესტ მეთიუსონი ვოლიერში შევიდა, რომელშიც ორი ლომი იმყოფებოდა. 180 კილოგრამიანი გაავეთრებული მტაცებლები მამაკაცს თავს დაესხნენ და მას სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს.

მეთიუსონის მეუღლე მის აგრესიული ლომებისგან გადარჩენას შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ. ის მიღებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა.

დაღუპულის რძალმა ტერი ფერგიუსონმა განაცხადა, რომ ოჯახისთვის მომხდარის შესახებ ყველა დეტალი უცნობია.

– უნდა გვესმოდეს, რომ უესტი არც ისეთი ახალგაზრდა იყო, როგორადაც თავად წარმოედგინა. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით თუ რა მოხდა სინამდვილეში, – განაცხადა ფერგიუსონმა.

თავდასხმიდან მცირე დროში ცხოველები ტრანკვილიზატორებით დააძინეს და იშვიათი




ცხოველების გადარჩენის ადგილობრივ ცენტრში გადაიყვანეს.

– აქ ისინი უსაფრთხოდ იქნებიან, მათ კარგად მოუვლიან, შემდეგ კი ველურ ბუნებაში გაუშვებენ, – განაცხადა დაღუპულის რძალმა.

აღსანიშნავია, რომ იგივე ლომები 2017 წელს ნაკრძალიდან გაიქცნენ და ფერმერი მოკლეს.

# სოლომონ კვირკველია: „სათადარიგოთა სკამის ხეხვა არ მხიბლავს“

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს მოახლოებული ერთა ლიგის მატჩების წინ პრობლემები აქვს. განსაკუთრებით დაცვის ცენტრში. კორონავირუსის გამო ეროვნულ გუნდს ვერ დაეხმარება გურამ კაშია, ტრავმები მიიღეს ჯიმი ტაბიძემ და ლაშა დვალმა, სათამაშო პრაქტიკა აკლიათ გია გრიგალავასა და დავით ხოჭოლავას. ერთადერთი, ვინც ბოლოს მოედანზე ვიხილეთ, ვოლგოგრადის როტორის მცველი სოლომონ კვირკველიაა.

ჩვენებურმა რუსულ მედიასთან ვრცელ ინტერვიუში როტორში გადასვლის მოტივებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ არჩევანით კმაყოფილია.

***– როგორ შეაფასებთ ხიმკისთან ბოლო ტურის მატჩს?***

– ვფიქრობ, რომ სტუმრად მოპოვებული ქულა ნორმალურია. რა თქმა უნდა, მეტი გვსურდა, რადგან ხიმკი ჩვენი უშუალო კონკურენტია. მთლიანობაში კარგად ვითამაშეთ, მიუხედავად იმისა, რომ მე-2 ტაიმის დასაწყისშივე გავუშვით.

***– როტორში ბევრი ახალი ფეხბურთელია, ეს სირთულეს ქმნის?***

– ვერ ვიტყვი, რომ რთულია. ჩვენს გუნდში ბევრი გამოუცდელი ფეხბურთელია, ამასთან, ყოველ 3 დღეში გვიწევდა თამაში, რაც ადვილი არ იყო. ახლა სანაკრებო პაუზაა და მუშაობის დრო იქნება, მჯერა ყველაფერი ნორმალურად წარიმართება.

***– ბოლო წლებში ყოველთვის ჩემპიონობისთვის იბრძოდით, ახლა დასარჩენად. გიჭირთ?***

– არა, ყველაფერი წინ არის, ჩემპიონობისთვის ისევ ვიბრძოლებ. უბრალოდ, ახლა ისეთი მდგომარეობა იყო, რომ თამაში მჭირდებოდა. ნელ-ნელა ფორმაში შევალ, დრო ყველაფერს გამოაჩენს.

***– რატომ როტორი? სხვა ვარიანტები არ გქონდათ?***




– ვერ გეტყვით. აქ ჩემი ბევრი მეგობარია და ალბათ ეს არის მიზეზი, ადაპტაციას უფრო ადვილად გავივლი.

***– როტორში ბევრი ქართველი ფეხბურთელია, როგორ მოხდა?***

– არ ვიცი, ეს მთავარ მწვრთნელს უკეთ ეცოდინება.

***– ამბობენ, რომ ყველას აგენტი მამუკა ჯუღელია.***

– თუ მწვრთნელს არ უნდოდა, მაშინ აგენტი ვერაფერს გააკეთებდა. ეს ნიშნავს, რომ ალექსანდრ ხაცკევიჩს უნდოდა, რომ ყველანი აქ ვყოფილიყავით. ჩემი არჩევანით კმაყოფილი ვარ. ლამაზი ქალაქია, შესანიშნავი სტადიონია, ვოლგოგრადში ფეხბურთი ძალიან უყვართ და ყველა პირობაა წარმატებისთვის.

***– ზაფხულში ლოკომოტივმა 31 წლის მცველი სლობოდან რაიკოვიჩი დაიმატა. არ გგონიათ, რომ უცნაურია?***

– ლოკომოტივზე ახლა ვერაფერს ვიტყვი, რადგან როტორის ფეხბურთელი ვარ. მწვრთნელმა და ხელმძლვანელობამ ასე გადაწყვიტეს.

***– გასული სეზონის მე-2 ნაწილის დასაწყისიდან შემადგენლობაში ბრუნდებოდით. შემდეგ რა მოხდა?***

– დიახ, დავბრუნდი, შემდეგ იური სიომინი წავიდა, ახალი მწვრთნელი მოვიდა და ესაა.

***– როგორ ახსნა მარკო ნიკოლიჩმა გადაწყვეტილება?***

– არაფერი აუხსნია, რა უნდა ეთქვა? როდესაც 5-6 თამაში სათადარიგო სკამზე ხარ, ყველაფერი გასაგებია. უნდა წახვიდე, რომ ითამაშო. კონფლიქტი არავისთან მქონია, მივედი ხელმძღვანელობასთან და ვუთხარი, რომ თამაში მინდოდა, ამიტომაც ვარ როტორში.

***– ამბობენ, რომ ხვიჩა კვარაცხელიას ტრანსფერზე შექმნილი პრობლემების გამო არ გათამაშებდნენ.***

– სისულელეა. ტრავმა მივიღე, წლის დასაწყისში დავბრუნდი, ზენიტთან, ახმატთან და როსტოვთან ვითამაშე, შემდეგ სეზონი შეწყდა, ხოლო განახლებამდე სიომინი გაუშვეს. შემდეგ რაც მოხდა, თავადაც ნახეთ.

***– რა რეაქცია გქონდათ სიომინის წასვლაზე?***

– მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სიომინი ჩემთვის ლეგენდაა. მიყვარს და სიცოცხლის ბოლომდე პატივს ვცემ. ყველაფერი, რაც გამიკეთა, არასდროს დამავიწყდება. მასთან დღემდე კარგი ურთიერთობა მაქვს და არასდროს არაფერი შეიცვლება.

***– ტელეფონით ეხმიანებით?***

– რა თქმა უნდა, ის ჩემთვის ცოცხალი ლეგენდა და ლოკომოტივში ყველაზე პატივსაცემი პიროვნებაა.

***– ამბობდნენ, რომ ლოკომოტივში ჭარბი წონა გქონდათ.***

– სიმართლე არაა. შეიძლება შეკრების დროს 2-3 კგ-ით მეტი ვიყავი, მაგრამ სეზონის განმავლობაში ფორმაში ვდგებოდი.

***– თქვენს მომავალს ლოკომოტივს ისევ უკავშირებთ თუ ჩავლილი ეტაპია?***

– ცხოვრებაში ყველაფერი ხდება.

***– კონტრაქტის დასრულებამდე 1 წელი დარჩა.***

– ვნახოთ. მსოფლიოში ბევრი გუნდი არსებობს, არამხოლოდ ლოკომოტივი. ყველაფერი ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული, თუ არ უნდათ, რომ დავბრუნდე, არც მე მინდა. 100%-ით ვიცი, რომ სათადარიგო სკამზე აღარ დავჯდები.

# საქართველოს თასი სენსაციებს არ იკლებს



გაიმართა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების მეორე ეტაპის მატჩები და გაირკვა ყველა მერვედფინალისტი.

მეორე ეტაპზე რამდენიმე სენსაციური შედეგი დაფიქსირდა: რანგით დაბალ ლიგაში მყოფმა ბეთლემმა პენალტების სერიაში დაამარცხა გორი. გამარჯვება მოიპოვეს მესამელიგელებმა – სპაერმა, გარეჯმა და თბილისის სითიმ. განსაკუთრებით ქალაქელთა მოგებაა აღსანიშნავი, რომელმაც მეორე ლიგის ლიდერი ქობულეთის შუქურას დაამარცხა.

| | |
|---|---|
| ბეთლემი-გორი | 2:2 (4:3პ) |
| კოლხეთი (ფ)-გაგრა | 0:4 |
| გარეჯი-მერანი (მ) | 1:0 (დდ) |
| სპაერი-რუსთავი | 1:0 |
| თბილისი სითი-შუქურა | 1:0 |
| სამგურალი-ვიტ ჯორჯია | 3:0 |
| კოლხეთი (ხ)-ტორპედო | 0:2 |
| დინამო (ზ)-ჩიხურა | 2:4 |
| სიონი-მერანი (თბ) | 1:4 |
| ვარკეთილი-სამტრედია | 0:2 |
| იმერეთი-დილა | 1:2 |
| ბახმარო-თელავი | 0:2 |

# კობახიძემ დვალი ჩაანაცვლა

მოახლოვებული ერთა ლიგის მატჩების წინ, ვლადიმირ ვაისს მეორე იძულებითი ცვლილების გაკეთება მოუწია. სლოვაკმა სპეციალისტმა საქართველოს ნაკრებში ბათუმის დინამოს მცველს, მამუკა კობახიძეს უხმო.



ეს გადაწყვეტილება იმიტომ გახდა საჭირო, რომ უნგრეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში ფერენცვაროშის მცველმა ლაშა დვალმა ტრავმა მიიღო და სექტემბრის შეხვედრებში ნაკრებს ვერ დაეხმარება.

კობახიძე ბათუმის დინამოში 2019 წლის ზაფხულიდან თამაშობს. 28 წლის მცველი გასულ წელს ეროვნული ლიგის საუკეთესო მცველი გახდა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ერთა ლიგის უახლოეს მატჩებს 5 სექტემბერს ესტონეთთან გასვლით დაიწყებს, ხოლო 8 სექტემბერს „დინამო არენაზე“ ჩრდილოეთ მაკედონიას უმასპინძლებს.

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა სადღეისოდ ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მაკარიძე (სეტუბალი, პორტუგალია), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

მცველები: ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი),სოლომონ კვერკველია (როტორი, რუსეთი), ნიკა მალი (საბურთალო), გიორგი ნავალოვსკი მამუკა კობახიძე (ორივე დინამო ბთ), დავით კობოური (დინამო თბ);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), გიორგი აბურჯანია (ტვენტე, ჰოლანდია), მურთაზ დაუშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (ქონია, თურქეთი), საბა ლობჟანიძე (ანკარაგუჯიუ, თურქეთი), ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (როტორი, რუსეთი), გიორგი კუცია (დინამო თბ), ჯაბა ჯიღაური (დინამო ბთ);

თავდამსხმელები: გიორგი ქვილითაია (გენტი, ბელგია), თორნიკე ოქრიაშვილი, ნიკა კაჭარავა (ორივე ანორთოსისი, კვიპროსი).

ცნობილია ასევე 8 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებსაც ვაისი ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში მსგავსი პრეცედენტის შედეგად განიხილავს:

რონ კვასხვაძე (დინამო თბ), ლაშა პარუნაშვილი (ესბიერგი, დანია), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), ვახტანგ ჭანტურიშვილი (ზლინი, ჩეხეთი), ბუდუ ზივზივაძე (ფეჰერვარი, უნგრეთი), ლევან კუტალია (ჰაპოელი, ისრაელი), ელგუჯა ლობჯანიძე (კაისარი, ყაზახეთი), ბაჩანა არაბული (პანიონისი, საბერძნეთი).

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# თბილისში რუსები მოდიან

შვეიცარიის ქალაქ ნიონში მდებარე უეფას შტაბბინაში ევროპა ლიგის მე-2 საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა, სადაც ქართული გუნდების მეტოქეები გაირკვა.

წილისყრის შედეგად ლოკომოტივის მეტოქე მოსკოვის დინამოს იქნება. პირველის მსგავსად, გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდები მეორე რაუნდშიც თბილისში ითამაშებენ. მატჩი 17 სექტემბერს გაიმართება.

ამავე დღეს თბილისის დინამო დიდ ბრიტანეთს ესტუმრება და უელსის ჩემპიონს, კონა ნომადსისთან გაარკვევენ ურთიერთობას.

ამასობაში თბილისის დინამოს ახალი მწვრთნელი ჰყავს. აქამდეც ბევრი საუბარი იყო, რომ ქართული ფეხბურთის ფლაგმანს ჩისკო მუნიოსი დაუბრუნდებოდა, მაგრამ უკვე და-




დასტურებულია, რომ ესპანელი სპეციალისტი დინამოში იმუშავებს. ჩისკომ გუნდთან ერთად პირველი ვარჯიშიც გამართა.

აი, რა წერია დინამოს განცხადებაში:

– ჩისკო მუნიოსი თბილისშია და ვარჯიშიც გამართა. იგი სეზონის ბოლომდე მთავარი მწვრთნელის მოვალეობებს შეასრულებს. მასთან ერთად ესპანელი მწვრთნელები რობერტო კუესტა და ხორხე აბელა იმუშავებენ.

ჩისკო ფეხბურთელობისას დინამოს რიგებში 2011-14 წლებში თამაშობდა. 2019 წელს გუნდს მთავარი მწვრთნელის ასისტენტის რანგში დაუბრუნდა, რეალურად კი მთავარი მწვრთნელი იყო და სამწვრთნელო ლიცენზიის არქონის გამო იწოდებოდა ასისტენტად.

ჩისკოსთან ერთად დინამო საქართველოს ჩემპიონი გახდა.

# შედეგები

**30 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**საფრანგეთი. ლიგა 1**

| | |
|---|---|
| რეიმსი-ლილი | 0:1 |
| ანჟე-ბორდო | 0:2 |
| მეცი-მონაკო | 0:1 |
| ნანტი-ნიმი | 2:1 |
| სტ.ეტიენი-ლორიანი | 2:0 |
| ბრესტი-მარსელი | 2:3 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| უფა-დინამო | 1:1 |
| ლოკომოტივი-ზენიტი | 0:0 |
| ახმატი-ცსკა | 0:3 |
| რუბინი-ტამბოვი | 2:2 |
| კრასნოდარი-როსტოვი | 1:1 |
| სოჭი-ურალი | 0:0 |

**ბელგია. ა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გენკი-ბრიუგე | 1:2 |
| ბეერსხოტი-სტანდარდი | 0:3 |
| შარლერუა-ანტვერპენი | 2:0 |
| გენტი-მეხელენი | 1:0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| სელტიკი-მოზერველი | 3:0 |
| ჰიბერნიანი-აბერდინი | 0:1 |

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრნო-ბოჰემიანსი 1905 | 0:0 |
| პარდუბიცე-ტეპლიცე | 2:1 |
| ლიბერეცი-პლზენი | 4:1 |
| სპარტა-სიგმა | 3:0 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| პიასტი-პოგონი | 0:1 |
| პოდბესკიჟიე-კრაკოვია | 2:2 |
| ლეხი-პლოცკი | 2:2 |

**ნორვეგია. ელიტსერია**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-სტაბეკი | 2:2 |
| სანდერფიორდი-კრისტიანსუნდი | 0:2 |
| სარპსბორგი-ბოდო გლიმდტი | 0:3 |
| სტარტი-ალესუნდი | 1:0 |
| ოდ გრელანდი-მიონდალენი | 6:1 |
| ვიკინგი-მიოლდე | 3:2 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი, კინორეჟისორი მამაკაცი; 2. მდგომარეობა ჭიდაობაში; 3. საფოსტო მარკების შეგროვების ხელოვნება; 4. ერთ-ერთი კონტინენტი; 5. ექიმის სპეციალობა; 10. კათოლიკური რელიგიის საგალობელი; 11. კათოლიკური ეკლესია პოლონეთში; 12. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 13. ქართველი მოდელიორი ქალი; 16. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 17. უკრაინის პრეზიდენტი; 19. უბანი თბილისში; 21. მეტალურგიაში ნარევი, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 23. კომბინაცია პოკერში.

**თარაზულად:** 6. უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილი; 7. ტბა გულრიფშის რაიონში; 8. მდინარე ყვარელში; 9. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მამაკაცთა შორის; 14. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 18. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 20. მოოქროვილი ვერცხლის ნაკეთობა; 22. თირკმლების ანთება; 24. აეროპორტი კაიროში; 25. ლიეტუვას დედაქალაქი; 26. ჩეხი იუმორისტი მწერალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ალბა; 2. ილორი; 3. დიორი; 5. შირაზი; 6. რაფინადი; 9. ტაიკონავტი; 10. კანდელაკი; 11. პოლიგამია; 14. წრე; 16. ორვილე; 18. სოჭი.

**თარაზულად:** 1. აპნისი; 4. ქაშანური; 7. ბორნეო; 8. რუსთავი; 12. გიენა; 13. აწყური; 15. ოდეონი; 17. ხაო; 19. ჰემოგლობინი; 20. გიუმი; 21. მიფუნე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სანჩესი; 2. წყალტუბო; 3. ასტრონომი; 4. წირქოლი; 5. მენდელსონი; 10. ბასტრი; 11. კატმანდუ; 12. რაზდანი; 13. კოსტავა; 16. ბარისტერი; 17. სალივანი; 19. აფხაზეთი; 21. იუანი; 23. შრატი.

**თარაზულად:** 6. სარწყუნისი; 7. ნიორაძე; 8. ბერეტა; 9. ბოტაფოგო; 14. სომბრერო; 15. ყიზილბაში; 18. ბედია; 20. ჭანჭური; 22. იაშვილი; 24. ტუნიკა; 25. გენლაინი; 26. ბატონი.

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


1 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0696

ევრო — 3.6243

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0500

100 რუსული რუბლი — 4.0769

## ამინდის პროგნოზი 1 სექტემბრისათვის




## თემურ ცაგურიას საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლება მიენიჭა



მომღერალი თემურ ცაგურია ამერიკაში ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და ზღვის სიყვარულის გამო, ფოთში გადაწყვიტა ცხოვრება.

ხელოვანმა სამშობლოში მუდმივი ბინადრობის უფლება მიიღო:

– დღეს საქართველოში ვარ! დაგიბრუნდი ჩემო სალოცავო საქართველო! მადლობელი ვარ, რომ კარი გამიღე და შემიფარე! მადლობა საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლებისთვის!

## „სუხიშვილები“ საიუბილეო კონცერტებს ღია ცის ქვეშ გამართავენ



ანსამბლი „სუხიშვილები“ საიუბილეო კონცერტებს ღია ცის ქვეშ გამართავს. 2020 წელს ანსამბლის დაარსების 75 და ნინო რამიშვილის დაბადების 110 წლის იუბილე აღინიშნება:

საიუბილეო კონცერტების ციკლი სუხიშვილების ახალ, ღია სცენა „თაკარაზე“ გაიმართება. კლასიკური საკონცერტო პროგრამა 2, 3, და 4 სექტემბერს გაიმართება, 5 და 6 სექტემბერს კი მაყურებლის წინაშე სუხიშვილების ბავშვთა ანსამბლი წარდგება.

## გორდელამ მეშახტეებისთვის იმღერა




გოგონათა ანსამბლმა „გორდელამ“ ტყიბულში მეშახტეების დღისადმი მიძღვნილ კონცერტში მიიღო მონაწილეობა. მასთან ერთად მსმენელის წინაშე წარდგნენ ნიაზ დიასამიძე და ჯგუფი 33ა, ჯგუფი ,,ფრანი“ და ,,რეგიონი.“

**გია კუბლაშვილი:**

– ტყიბულში სიხარულია, სიცოცხლე და სიყვარულია, არც არასდროს ყოფილა ჩვენი ქალაქი ,,სიკვდილის“ ქალაქი, რადგან ყოველთვის სიცოცხლისათვის და სიყვარულისთვის ვიბრძოდით, რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი ქალაქის თითოეულ მოსახლეს და განსაკუთრებით მეშახტეებს. მათ შექმნეს ეს ქალაქი და ისინი არიან ამ ქალაქის მთავარი მაცოცხლებელი ძალა თავიანთი ოჯახებით, მათი პროფესიული დღე აღინიშნა, რადგან სწორედ მათი წყალობით გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლმა ,,გორდელამ“, ნიაზ დიასამიძემ და ჯგუფმა 33ა, ჯგუფმა ,,ფრანი“ და ,,რეგიონმა“.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, დღეს საღამოს მინდა შენთვის რაიმე ისეთი გავაკეთო, რომ მთელი ცხოვრება არ დაგავიწყდეს.

– დედაშენთან მიდიხარ?

ანეკდოტები:

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, წარმოგიდგენია, ათი წელია, ერთად ვართ და ერთხელაც კი არ გვიჩხუბია!

– ვიცი, შე მშიშარავ!

•••

ქალი კაცს ეუბნება:

– აი, თქვენ ჩემს მკერდს მიშტერებიხართ, ამ დროს კი შარვალი გახსნილი გაქვთ!

– რადგან შენიშნე, გამოდის, რომ არც შენ მომჩერებიხარ სახეში.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– კიდევ ერთხელ იხუმრებ ჩემს ფიგურაზე და სიფათში მოგხვდება, გაიგე?!

– კი, გავიგე.

– რა გაიგე?

– რა და შენი ზედმეტი წონა ჩემი ჯანმრთელობისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს!

•••

ქალი კაცს ეკითხება:

– შენ ჩემი გესმის?

– რა თქმა უნდა.

– მაშინ, მეც ამიხსენი...

•••

ფსიქიატრი მამაკაცს ეკითხება:

– საკუთარ კომენტარებში ქალებს სისაძაგლეებს რატომ სწერთ?

– ინტიმზე უარს მეუბნებიან...

•••

ბავშვი მამას ეკითხება:

– მამიკო, მარაზმი რა არის?

– მარაზმია, შვილო, როდესაც დედაშენმა კონიაკის ბოთლი დამიმალა ისე, რომ მერე თავადაც ველარ პოულობს.

– და სარკაზმი რაღაა?

– სარკაზმი ისაა, როდესაც მე მას ვუყურებ და მეღიმება, ვინაიდან დიდი ხანია, ის კონიაკი ვიპოვე და დავლიე.

•••

კაცი ქალს ეკითხება:

– მეგობრულად, სექსზე რას მეტყვი?

– რა, შენთან უნდა ვიმეგობრო კიდეც?

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– იცი, ეროტიკულ სიზმარში დამესიზმრე.

– მერე, რა გავაკეთე, ძვირფასო?

– მოხვედი და ყველაფერი გააფუჭე...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ივან რაკიტიჩი სევილიაში დაბრუნებასთან ახლოს არის




ბარსელონას ხორვატი ნახევარმცველი ივან რაკიტიჩი ახლოს არის სევილიაში გადასვლასთან და ის პირად კონტრაქტზე უკვე შეუთანხმდა ანდალუსიურ გუნდს. რაკიტიჩი სევილიაში უკვე თამაშობდა და 2014 წელს ის სწორედ ამ გუნდიდან გადავიდა ბარსელონაში.

ხორვატმა ნახევარმცველმა ბარსელონაში 6 სეზონი გაატარა და ამ ხნის მანძილზე ის ხშირად ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იყო, თუმცა ის ბარსელონას ახალი მწვრთნელის რონალდ კუმანის გეგმებში არ შედის, ამიტომ მას გუნდის დატოვება მოუწევს.

## ნეიმარი: „პსჟ-დან წასვლას არ ვაპირებ“




პსჟ-ს ბრაზილიელმა ფორვარდმა ნეიმარმა განაცხადა, რომ ის გუნდიდან წასვლას არ აპირებს და გადაწყვეტილი აქვს, რომ ამ გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგოს. გარდა ამისა, ნეიმარის თქმით, მან პსჟ-ს პოტენციალი დაინახა და იცის, რომ ამ გუნდს მომავალი აქვს:

– გული დამწყდა, რომ ფინალში დავმარცხდით, მაგრამ კმაყოფილი ვარ, რომ ამ სტადიამდე მივაღწიეთ და ვიცი, მომავალ წელს კიდევ უფრო უკეთესი შანსები გვექნება. მინდა, პსჟ-ში დავრჩე და გუნდს წარმატების მიღწევაში მივეხმარო.

## ხამესი კარიერას ევერტონში გააგრძელებს




მადრიდის რეალის კოლუმბიელი ნახევარმცველი ხამეს როდრიგესი კარიერას ევერტონში გააგრძელებს.

ხამესი ინგლისში რამდენიმე დღეში ჩავა და კონტრაქტს ხელს მოაწერს.

ხამესმა რეალში თავის დამკვიდრება ვერ შეძლო და მისი გუნდიდან წასვლა მხოლოდ დროის საკითხი იყო. ევერტონის მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტია, რომელიც ხამესთან ერთად რამდენიმე წლის წინ მადრიდის რეალში მუშაობდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## სიზმარმა ქალს სიმდიდრე მოუტანა




კანადის ონტარიოს პროვინციის ქალაქ ტოროლდის მცხოვრებმა პენსიონერმა ლატარიაში ჯეკპოტი იმ ციფრების წყალობით მოხსნა, რომლებიც სიზმარში ნახა.

64 წლის დებორა როუზი ერთსა და იმავე ციფრებს ლატარიის გათამაშებაში მას შემდეგ იყენებდა, როდესაც ისინი სიზმარში ნახა. ბოლოს და ბოლოს წინასწარმეტყველურმა სიზმარმა მას სიმდიდრე მოუტანა.

მიმდინარე წლის 28 ივლისს გამართულ ლატარიის მორიგ გათამაშებაში ქალმა მაქსიმალური პრიზი მილიონი კანადური დოლარი მოიგო.

როუზის თქმით, მას არცთუ იღბლიანი დღე ჰქონდა, როდესაც მაღაზიაში წავიდა თავისი ლატარიის ბილეთის შესამოწმებლად.

– მაგრამ ყველაფერი შეიცვალა, როდესაც მოგების თაობაზე შეტყობინება ვნახე. მახსოვს, რომ წამოვიძახე: „რაა?“ და შემდეგ ყვირილი ავტეხე, – გაიხსენა როუზმა.

პირველ რიგში მან მოგების შესახებ შვილიშვილებს აცნობა, ვინაიდან ის მათ ეუბნებოდა, რომ ერთხელაც უეჭველად გაიმარჯვებდა ლატარიაში. პენსიონერის თქმით, ის მანამდე ვერ დაიჯერებს მოგებას, სანამ მოგებული თანხა მის ანგარიშზე არ ჩაირიცხება. მოგებული თანხით ის სამოგზაუროდ წასვლას და შვილების დახმარებას აპირებს.

– ძალიან მინდა საბერძნეთის, თურქეთის და ბულგარეთის ნახვა, – აღნიშნა იღბლიანმა კანადელმა პენსიონერმა.

## ნიანგმა მეთევზეს ფეხი მოაჭამა

უგანდის მაიუგეს რაიონში ნიანგი მეთევზეს თავს დაესხა და ფეხი მოაჭამა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი რადიოსადგური ავრცელებს. 25 წლის ჩარლზ ოვერი სათევზაოდ ტბა ვიქტორიაზე იმყოფებოდა და სწორედ იქ დაესხა მას თავს რეპტილია.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის მაჯიდუ მუკუვეს განცხადების თანახმად, ოვერი გადარჩა. ახალგაზრდა მამაკაცი საავადმყოფოში იქნა მოთავსებული და მისთვის მოკვნეტილი კიდურის მიკერება მოხერხდა.

დაშავებულმა მამაკაცმა დახმარების თხოვნით მიმართა ბუნების დაცვის უწყების ჩინოსნებს, რომ მათ იპოვონ და გააუვნებელყონ რეპტილია, რომელმაც მას ფეხი მოაკვნიტა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი



### 1 სექტემბრისათვის

**ვერძი** – ნებისმიერი ფინანსური ოპერაციისათვის შეუფერებელი დღეა. არ იაქტიუროთ. **კურო** – ემოციები შეიკავეთ. აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. **ტყუპები** – პიროვნული მომხიბვლელობა ახალი საქმიანი კონტაქტების დამყარებაში დაგეხმარებათ. მამაკაცებს პირად ცხოვრებაში პრობლემები გექმნებათ. **კირჩხიბი** – ნებისმიერ საქმეს წარმატებით შეასრულებთ. ნუ ეცდებით ზედმეტი პასუხისმგებლობის აღებას. **ლომი** – გელით საინტერესო შეხვედრები. სასარგებლოა კოლექტიური საქმიანობა. **ქალწული** – წინააღმდეგობრივი დღეა. ფული მომჭირნედ ხარჯეთ. საყიდლებზე წასვლას დღეს არ გირჩევთ. **სასწორი** – შესაძლოა სამსახური ან შემოსავლის წყარო შეგეცვალოთ. მზად იყავით ახალი შემოთავაზებებისათვის. **ღრიანკალი** – შემოქმედებითი დღეა. თვითრეალიზაციას მშვენივრად ახერხებთ. სასიამოვნო იქნება ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობა. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში გიმართლებთ. ნუ გარისკავთ. **თხის რქა** – პატიოსნად იშრომეთ, ნურავის მოატყუებთ. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. **მერწყული** – პერსპექტიული დღეა. გეგმების განხორციელებაში პლანეტები ხელს გიწყობენ. **თევზები** – იმედი გიცრუვდებათ. ნურაფერს დაგეგმავთ. მოვლენები არ დააჩქაროთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მარცვლეულის შესანახი ხის ნაგებობა დასავლეთ საქართველოში; 2. ხალხური ზეპირსიტყვიერება, ფოლკლორი; 3. მღრღნელი ქიამატლის ძველი ქართული სახელწოდება; 5. თეატრალური ცეკვის ხელოვნება; 6. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 11. ალუბლისგან დამზადებული ფრანგული ლიქიორი; 14. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 16. კუთხე საქართველოში; 18. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული გამოთვლით ტექნიკაში.

**თარაზულად:** 1. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 4. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 7. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 8. მუნჯი კინოს ფრანგი კომიკოსი; 12. ისტორიული ციხე-სიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 13. ჩვილი ბავშვის საწოლი; 15. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ქართული სამეფო; 19. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 20. ძველებური ინგლისური ოქროს მონეტა; 21. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა.




შეადგინა თ.გოგინაშვილმა